ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 5 აგვისტო, 2019 №183 (8137) ფასი: 60 თეთრი

## რატომ გარდაიცვალა ცხვირის ძგიდის საოპერაციოდ შეყვანილი ირაკლი კობიაშვილი

გვ.5



ოჯახი ხუჯაძე-გოგნიაშვილის კლინიკას ადანაშაულებს

# ქართულ პოლიტიკაში ახალი მილიარდერი შემოდის

## „დავით იაკობაშვილი ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკიდან განდევნის“



გვ.3





ლადო სადღობელაშვილი: „ის კახა კალაძესთან ერთად შექმნის პოლიტიკურ პარტიას“

## დიდი დაჭერები იწყება







რატომ განაახლა პროკურატურამ ქუმსიშვილის და ალავიძის საქმის გამოძიება

გვ.2



ლევან ალაფიშვილი: „ხელისუფლება ეცდება, მაყურებლის თვალში რუსთავი 2-ის დისკრედიტაცია მოახდინოს“

გვ.4

ავთანდილ დემეტრაშვილი: „მგონია, რომ არჩევნები არსებული სისტემით ჩატარდება“

გვ.2



ვახტანგ მაისაია: „2008 წელს ქართულ სპეცსამსახურებში რუსული აგენტურა იყო ჩანერგილი“

გვ.6

კრემლი: „საქართველო გადარჩება მხოლოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“



გვ.4

### სამართალი



გვ.5

პროკურატურამ რუსთავი 2-ის ყოფილი ფინანსური დირექტორი კახა დამენია გამოკითხა



ირაკლი გიორგობიანს ყური მოაჭრეს

მასზე თავდასხმისთვის გიორგი ნინოშვილი დააკავეს




მკვლელობა ვარკეთილში

34-ე კორპუსის მე-5 სართულზე მამაკაცი აჩეხეს

ISSN 1987-9385

2 სემეკის თავმჯდომარედ დავით ნარმანია ინიშნება

6 მოსკოვში პოლიციამ 800-ზე მეტი ადამიანი დააკავა

3 დავით ჭიჭინაძე: „კობახიძემ სია მიუტანა ივანიშვილს, ეს 6 კაცი გამაგდებინე და სიწყნარე იქნებაო“

6 ფუკუშიმას ატომურ სადგურთან 6,2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

# დიდი დაჭერები იწყება

## რატომ განაახლა პროკურატურამ ქუმსიშვილის და ალავიძის საქმის გამოძიება

შორენა მარსაგიშვილი

**პოლიტიკურად ცხელი ზაფხულის შემდეგ, კიდევ უფრო ცხელი პოლიტიკური შემოდგომა გველოდება — მმართველ პარტიაში უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი ხმაურიან დაჭერებს გეგმავს.**

მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ ოპონენტებთან გაასწორებს ანგარიშს, მთავარი მეოცნებე თავისიანებს ააწიოკებს. ზოგიერთს კი იმის გამო დააბარებინებს პროკურატურაში, რომ ოპოზიციისკენ არ გაიხედონ.

დღეის მდგომარეობით დაჭერის ყველაზე მეტი შანსები დიმიტრი ქუმსიშვილს და ზურაბ ალავიძეს აქვთ.

სააგენტო „თაიმერის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, „ოცნებაში“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრის, დიმიტრი ქუმსიშვილის, დაკავების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

„თაიმერის“ წყაროს ინფორმაციით, დაგეგმილია საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის, გამოკითხვაც.

პროკურატურა დიმიტრი ქუმსიშვილსა და რეგიონების განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრს, ზურაბ ალავიძეს, დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვას ედავება. როგორც ამბობენ, ამ საქმეში წილში ყოფილი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილიც იჯდა.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ალავიძის წინააღმდეგ ინფორმაცია გამოძიებამ ზუგდიდის ყოფილი მერისგან, ლაშა გოგიასგანაც, მიიღო. ლაშა გოგია და ზურაბ ალავიძე ძმაკაცობდნენ და ბევრ საქმეში ერთად იყვნენ ჩართული.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, თაროზე შემოდებული საქმეების ჩამოღება ივანიშვილს მამუკა ხაზარაძის პოლიტიკურმა ამბიციებმა და გიორგი კვირიკაშვილის გააქტიურებამ გადააწყვეტინა.

მამუკა ხაზარაძემ თავად დააანონსა, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებდა. რამდენიმე თვით ადრე კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი კვირიკაშვილი შექმნიდა თავის პარტიას.

თავის დროზე პოლიტიკაში ხაზარაძის შემოყვანა ყოფილმა პრემიერმა გადაწყვიტა. დიდი ალბათობით, ისინი ერთად უნდა ყოფილიყვნენ. მათ გუნდში მოიაზრებოდნენ ალავიძე და ქუმსიშვილიც.

ამ ადამიანებმა, როგორც ამბობენ, კვირიკაშვილთან და სხვა „პადელნიკებთან“ ერთად, ბიუჯეტიდან, ტენდერების ხარჯზე, რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი მოტეხეს. შესაბამისად, ბევრი ფული დააგროვეს.

მათი და ხაზარაძის კაპიტალის გაერთიანების შემთხვევაში ივანიშვილის წინააღმდეგ ფინანსურად ძალიან ძლიერები პოლიტიკური ძალა გამოვიდოდა.



სხვა შემთხვევაში ეს ივანიშვილს არ შეაშინებდა, მაგრამ ახლა მისი და „ოცნების“ რეიტინგი ძალიან არის დაცემული და ნებისმიერი ახალი მოთამაშის გამოჩენა ოლიგარქისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ივანიშვილი ხაზარაძეს და კვირიკაშვილს სიამოვნებით მიაირაკლიოქრუაშვილებდა, მაგრამ მათ დაჭერას დიდი საერთაშორისო სკანდალი მოჰყვება.

ორივე მათგანი ანაკლიის პორტთანაა დაკავშირებული. „ოცნების“ ლიდერს საერთაშორისო თანამეგობრობა ისედაც ამ მნიშვნელოვანი პროექტის მტრად აღიქვამს, მათი დაჭერის შემთხვევაში ყველა იტყვის, რომ ანაკლიის პორტს უკავშირდება ეს დაკავება.

ამიტომ კვირიკაშვილს პატიმრობა არ ემუქრება. ის უკვე გააფრთხილეს, რომ მამუკა ხაზარაძეს არ უნდა გაეკაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას თავისი საფირმო გინების დახვეწა მატროსოვის ციხეში მოუწევს.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, იგივე გაფრთხილება მიიღო ქუმსიშვილმაც. მას ისიც უთხრეს, რომ ახალი პარტიის დაფინანსება არ უნდა გაბედოს, თუმცა, ყოფილი პრემიერისგან განსხვავებით, მან შეიძლება რამდენიმე თვე მაინც გაატაროს საკანში.

საკანში გამომწყვდევით დაემუქრნენ ეკონომიკის ყოფილ მინისტრ გიორგი ქობულიასაც.

რამდენიმე დღის წინ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნდა მასალა, რომლის თანახმადაც, ქობულია ხაზარაძის პარტიაში აპირებდა შესვლას. გაზეთის გამოსვლის შემდეგ, ნამინისტრალი დაიბარეს და ლამის დააფიცეს, რომ ბანკირს არ გაეკარებოდა.

„ახალი თაობა“ იმასაც წერდა, რომ ხაზარაძის პარტიაში გაწევრიანებას „ოცნების“ რიგითი წევრებიც გეგმავდნენ. ხელისუფლებამ ისინიც სასტიკად გააფრთხილა.

პოლიტიკური ცელქობის შემთხვევაში მათაც სერიოზული პრობლემები შეექმნებათ.

„ახალი თაობის“ წყაროს ინფორმაციით, ქუმსიშვილის და ალავიძის გარდა, ივანიშვილს სუსის ყოფილი მაღალჩინოსნის, სოსო გოგაშვილის დაპატიმრებაც აქვს გუმანში.

მის შესაძლო დატუსაღებაზე მედიაში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა, თუმცა გოგაშვილი დღემდე თავისუფლად დადის. ჩვენი წყარო ამბობს, რომ ამ ჯერზე ივანიშვილმა მყარი გადაწყვეტილება მიიღო.

მთავარი მეოცნებე ვილაცებმა დაარწმუნეს, რომ გოგაშვილმა შესაძლოა ოპოზიციასთან ითანამშრომლოს. ეს უკანასკნელი ძალიან ბევრ და საინტერესო ინფორმაციას ფლობს „ოცნების“ კულუარებიდან და ივანიშვილისთვის ისიც სახიფათო ხდება.

დაჭერების და გაფრთხილებების პარალელურად, სამთავრობო ცვლილებებსაც ვიხილავთ. შეიცვლება ბიზნესომბუდსმენიც. ამ პოსტზე, შესაძლოა, სამეგრელოს გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია ვიხილოთ.

ამ ინფორმაციას მასთან დაახლოებული მედია და ადამიანები ავრცელებენ. არადა რამდენიმე დღით ადრე, მან „ახალ თაობას“ ლამის ომი გამოუცხადა, როცა ჩვენ დავწერეთ, რომ მოწერელია გუბერნატორის პოსტის დატოვებას აპირებდა.

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „მგონია, რომ არჩევნები არსებული სისტემით ჩატარდება“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, მოხდება თუ არა საარჩევნო სისტემის ცვლილება.**



***— ბატონო ავთანდილ, თქვენ რამდენად ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რომ არსებული საარჩევნო სისტემიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავალთ?***

— ორი ინიციატივა არის პარლამენტში წარდგენილი. ერთი თავად „ქართული ოცნების“ მიერ არის ინიცირებული, მეორე — ოპოზიციის მიერ, რომელსაც 200 ათასი ხელმოწერა ახლავს. აგვისტოში უნდა შეიქმნას საორგანიზაციო კომისია. ორივე პროექტი ერთად განიხილება თუ ცალ-ცალკე, ვერ გეტყვით.

კონსტიტუციის გადასინჯვის ორი გზა არსებობს. ერთი — ორი მესამედით და მეორე — სამი მეოთხედით. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას კი პარლამენტის სამი მოსმენა სჭირდება.

***— დროში რამდენად მოსწრებადია?***

— თუ ყველაფერი ახლავე დაიწყება, მაშინ დროში აბსოლუტურად მოსწრებადია. არჩევნებამდე ერთი წლით ადრე უნდა შევიდეს ცვლილებები კონსტიტუციაში. ოქტომბერ-ნოემბრამდე უნდა იყოს დასრულებული.

***— „ქართულ ოცნებას“ დღეს საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს პარლამენტში. „ევროპული საქართველო“ მზად არის, ხმები დაახმაროს, მაგრამ იქნება საკმარისი?***

— თუ პოლიტიკური ნება არ იქნება, ცხადია, ცვლილებაც არ იქნება. დიახ, კონსტიტუციის გადასინჯვას პარლამენტის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდება. იქნება კი ამისთვის ოპოზიციის ხმები საკმარისი, ვერ გეტყვით, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მაჟორიტართა კორპუსის განწყობები — როგორი იქნება მათი პოზიცია?! მე ვიცი, რომ მაჟორიტარები ამ ცვლილებით დიდად მოხიბლულები არ არიან, მაგრამ რამდენია მათი რაოდენობა, ზუსტად არ ვიცი.

ოპოზიციის განწყობაა, რომ იყოს არა ნულოვანი ბარიერი, არამედ 3%-იანი ბარიერი და იყოს საარჩევნო ბლოკების დაშვება, რასაც მმართველი პარტია ეწინააღმდეგება.

რასაკვირველია, ესეც პოლიტიკური სვლაა. ოპოზიცია თანახმაა ყველაფერზე, ბლოკების აკრძალვაზეც, ოღონდ მოხდეს შერეული საარჩევნო სისტემიდან პროპორციულზე გადასვლა.

***— რა ხიბლი აქვს პროპორციულ არჩევნებს?***

— პირველ რიგში, პარლამენტი ხდება მრავალპარტიული. პოლიტიკა უფრო მრავალფეროვანი ხდება. პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობა და სიჭრელე იქნება. რასაკვირველია, აქ მნიშვნელოვანია, რა მსოფლმხედველობის, რა იდეოლოგიის პარტიები შევლენ, მაგრამ მაინც ეს იქნება უფრო ხალხის ნების გამომხატველი პარლამენტი.

აქ მთავარი კითხვაა — ეს მრავალპარტიული პარლამენტი რამდენად ეფექტური და ქმედუნარიანი იქნება? ქართული პოლიტიკა არ გამოირჩევა კომპრომისების ხელოვნებით. ჩვენს პოლიტიკოსებს უჭირთ კომპრომისის მოძებნა. დიალოგი, ერთმანეთთან საუბარი. არადა მრავალპარტიული პარლამენტი სწორედ ამას ითხოვს.

მოახერხებენ კი არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობის ფორმირებას?! ძირითადი პოლიტიკური აქტორები აცხადებენ, რომ კოალიციაში არ შევლენ და ერთმანეთთან არ ითანამშრომლებენ.

***— თუ მთავრობას ვერ შექმნიან, ეს იქნება პოლიტიკური კრიზისი?***

— დიახ, მერე იქნება ტექნიკური მთავრობა ანუ დროებითი მთავრობა. ახლაც იტალიას დროებითი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. მართალია, ეს პრობლემაა დიდი გამოცდილების მქონე დემოკრატიებისთვისაც კი, მაგრამ ჩვენთვის გაცილებით რთული იქნება, რადგან ჩვენ საერთოდ არ გვაქვს ამის გამოცდილება. ტექნიკური მთავრობა ნიშნავს ვადამდელ არჩევნებს და ა.შ.

***— მესამე ძალის გამოჩენას გამორიცხავთ?***

— ხაზარაძეს შეუძლია მესამე ძალის შექმნა. ამომრჩეველი ითხოვს მესამე ძალას, რადგან არც ნაციონალურ მოძრაობას აძლევს ხმას და არც „ქართულ ოცნებას“, მაგრამ მაინც მეეჭვება, რომ ხაზარაძემ ეს შეძლოს. რთული იქნება. სექტემბრის ბოლოსთვის მისი პოზიციები უფრო ნათელი გახდება.

***— გამორიცხავთ, რომ ივანიშვილის მხრიდან საარჩევნო სისტემის ცვლილების შეთავაზება მაშინ პროცესების გასანეიტრალებლად იყო და ახლა უკან დაიხიოს?***

— არ გამოვრიცხავ. მე მაინც მგონია, რომ, არჩევნები არსებული საარჩევნო სისტემით ჩატარდება. თუმცა, არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილს მრჩევლებმა ურჩიეს: ერთი, პირველ ადგილზე მაინც არ გაგვიჭირდება გასვლა. მეორე, ერთპიროვნულ მმართველობაზე საუბარი დასრულდება. მესამე, საერთაშორისო თანამეგობრობას არ მოსწონს, როდესაც ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა არჩევნებს მესამედ იგებს და კვლავ ხელისუფლებაში რჩება.

თუ კოალიციური მთავრობა შეიქმნება, მაშინ ბიძინა ივანიშვილის როლი სულ სხვა იქნება.

***— რა იქნება?***

— უპირველეს ყოვლისა, ერთმმართველის როლი არ ექნება. დღეს კოალიციური მთავრობის პრიორიტეტი ამაშია.

# სემეკის თავმჯდომარედ დავით ნარმანია ინიშნება



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის (სემეკ) თავმჯდომარედ დავით ნარმანია ინიშნება. ამის შესახებ „თაიმერისთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი. ირინა მილორავას ქალაქ თბილისის ყოფილი მერი შეცვლის, რომელიც 2017 წლის 22 დეკემბერს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრად დაინიშნა.

მილორავას თავმჯდომარის პოსტზე ექვსწლიანი მუშაობა, სავარაუდოდ, სექტემბერში ეწურება. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, სემეკის თავმჯდომარეს, პრეზიდენტის ნაცვლად, პრემიერი ნიშნავს..

თაიმერი

# ნაციონალური მოძრაობის წევრები ბეშუმში პრემიერს საპროტესტო აქციით დახვდნენ

აჭარაში, ბეშუმში ნაციონალური მოძრაობის წევრებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ბეშუმში შუამთობის დღესასწაულზე, სადაც პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე იმყოფებოდა, აქციის მონაწილეები შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომას ითხოვდნენ, რასაც პოლიციასა და პროტესტის მონაწილეებს შორის ხმაური მოჰყვა. „გახარია წადი“, „სისხლიანო გახარია“, „ჯალათო“ სკანდირებდნენ აქციის მონაწილეები.

როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ელგუჯა ბაგრატიონმა განაცხადა, მათ მცდელობა ჰქონდათ, რომ პრემიერთან მიახლოებულიყვნენ და აქციის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ, თუმცა პოლიციამ ამის საშუალება არ მისცა და გზა გადაკეტა.

— ნახეთ, რომ პოლიციამ გადაგვიკეტა გზა და ძალადობს, რომ კომფორტი შეუქმნას პრემიერს და ახლოს არ მიგვიშვას. როგორც ჩანს, ეს არის დღესასწაული მხოლოდ „ქართული ოცნების“ და პრემიერის, ისე როგორც დააბრმავეს ხალხი, ისე არის დღეს მთავრობა დაბრმავებული და დაყრუებული, არ ესმის ამ ხალხის, — აცხადებს ელგუჯა ბაგრატიონი.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ქართულ პოლიტიკაში ახალი მილიარდერი შემოდის

## „დავით იაკობაშვილი ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკიდან განდევნის“

შორენა მარსაგიშვილი

**„ახალი თაობა“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წერდა, რომ რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი ქართულ პოლიტიკაში აპირებდა შემოსვლას.**

მისი ისტორია რაღაცით დაემსგავსა ბიძინა ივანიშვილის ამბავს. რამდენიმე თვის წინ ქართული წარმოშობის მილიარდერს რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაეძაბა და ის თითქმის ორი თვეა, რუსეთში არ გამოჩენილა. ივანიშვილის მსგავსად, პუტინთან ურთიერთობის გაფუჭების შემდეგ იაკობაშვილმაც ევროპას შეაფარა თავი.

ამ დღეებში მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ნაციონალების ყოფილ მაღალჩინოსან დავით კეზერაშვილთან ერთად აპირებს საქართველოში ახალი ტელევიზიის დაფუძნებას.

დავით იაკობაშვილის პოლიტიკურ ვნებებზე საქართველოში პირველი სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ალაპარაკდა. მან „ახალ თაობასთან“ საუბარში რამდენიმე წლის წინ თქვა, რომ კახა კალაძის უკან დავით იაკობაშვილი იდგა.

რა საფრთხეებს შეუქმნის დავით იაკობაშვილი ივანიშვილს, რა თამაშს თამაშობს კახა კალაძე, რომელი პარტიები იქნებიან პოლიტიკურ ველზე მთავარი მოთამაშეები? – ამის შესახებ ლადო სადღობელაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთში მოღვაწე ქართველი მილიარდერი დავით კეზერაშვილთან ერთად აპირებს ახალი ტელევიზიის შექმნას. რა საერთო აქვს მას კეზერაშვილთან, ვერ გეტყვით, სამაგიეროდ, კარგად ვიცი მისი და კალაძის ურთიერთობის შესახებ.

ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, იაკობაშვილის ბიზნესინტერესების გამტარებელი გახდა კახა კალაძე. ეს ბიზნესწრეებში ყველამ კარგად იცოდა. ამის შესახებ მე „ახალ თაობასთან“ საუბარში რამდენიმე წლის წინაც განვაცხადე.

მასზე გესაუბრეთ დაახლოებით ერთი თვის წინაც და გითხარით, რომ მილიარდერი იაკობაშვილი პოლიტიკაში აპირებს შემოსვლას, რადგან მას პუტინთან გაუფუჭდა ურთიერთობა.

მას ქართული პოლიტიკის მიმართ თუ სერიოზული ინტერესი გაუჩნდა, ეს ბიძინა ივანიშვილისთვის ძალიან ცუდი იქნება.

***– რატომ იქნება პოლიტიკაში მისი შემოსვლა ივანიშვილისთვის ძალიან ცუდი?***

– პირველ რიგში იმიტომ, რომ დავით იაკობაშვილი ბევრად უფრო მაღალი დონის ფიგურაა, ვიდრე ივანიშვილი. მას რუსულ ბიზნესწრეებზეც „ოცნების“ ლიდერზე მეტი გავლენები აქვს.

***– ივანიშვილზე ბევრად მაღალი დონის მოთამაშეაო და ეს რაში გამოიხატება?***

– მას სერიოზული კავშირები აქვს ამერიკელებთან. მან ამერიკელებთან ბიზნესკავშირები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაამყარა. ეს კავშირები დღემდე გრძელდება. მისი ჩარევით რუსეთში ძალიან ბევრი ამერიკული ინვესტიცია შევიდა.



ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამერიკელები ენდობიან. ის არ გახლავთ კრიმინალური გზებით გამდიდრებული ჩვეულებრივი ოლიგარქი. მას სულ სხვა დატვირთვა აქვს. მას სანაცნობო წრე ამერიკის უმაღლეს ეშელონებში ჰყავს და მისი ქართულ პოლიტიკაში შემოსვლა ივანიშვილისთვის იქნება უდიდესი საფრთხე.

იაკობაშვილს საქართველოში კონკურენციას ვერავინ გაუწევს. ამ ამბავში ყველა უძლური იქნება.

***– ის არაფერს ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილს მასზე გაცილებით მეტი ფული აქვს?***

– ბიძინას შეიძლება სამჯერ მეტი ფული აქვს, ვიდრე იაკობაშვილს, მაგრამ დგება მომენტები, როცა ასეთი დიდი ფული გადამწყვეტი აღარ არის.

ივანიშვილს თუ არჩევნების ყიდვა უნდა, ამის გაკეთება იაკობაშვილსაც შეუძლია. საქართველო არის პატარა ქვეყანა და აქ საარჩევნოდ, სულ რომ გასკდე, მილიარდზე მეტს ვერ დახარჯავ.

აი, ეს საფრთხე დაინახა ივანიშვილმა მამუკა ხაზარაძეში. საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, მასაც შეეძლო ამდენი ფული დაეხარჯა. ამიტომაც მოხდა მისი განეიტრალება.

აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხაზარაძეს ის გავლენები არა აქვს, რაც დავით იაკობაშვილს, რომელიც ამერიკის უმაღლეს ეშელონებში მიღებული პირია. ეს ძალიან მაღალი დონეა.

ის მხოლოდ ბიზნესმენი არ არის. მას აქვს კარგი დიპლომატიური თვისებები და შეუძლია, ამერიკელებს და რუსებს შორის დაალაგოს ურთიერთობები. ამაზე მეტი რა გინდა.

ივნისის შემდეგ ის რუსეთში აღარ ჩასულა და ამ დროისთვის თავს ევროპის ერთ-ერთ ქვეყანას აფარებს. მას საქართველოში უკვე აქვს რაღაც დასაყრდენი და არ გამოვრიცხავ, რომ პოლიტიკაში შემოვა და ამ ველიდან „ოცნების“ ლიდერს განდევნის.

მთლიანი განდევნა შეიძლება არ გამოუვიდეს, მაგრამ სერიოზულად შეასუსტებს მის გავლენებს. ივანიშვილს, შესაძლოა, 2020 წელს ხელისუფლების დათმობამაც კი მოუწიოს.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ის პოლიტიკაში კახა კალაძესთან ერთად უნდა შემოვიდეს. ქართულ მედიაში ითქვა, კეზერაშვილთან ერთად აპირებსო, რისიც ნაკლებად მჯერა.

### ლადო სადღობელაშვილი: „ის კახა კალაძესთან ერთად შექმნის პოლიტიკურ პარტიას“



***– მისი და კეზერაშვილის თანამშრომლობის რატომ არ გჯერათ?***

– თანამშრომლობით შეიძლება ითანამშრომლონ, მაგრამ პოლიტიკაში იმ პიროვნებასთან ერთად შემოვა, რომელიც დღეს „ოცნებას“ წარმოადგენს.

***– „ოცნებას“ არ წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ამბობენ, კეზერაშვილს მმართველ პარტიასთან დალაგებული აქვს ურთიერთობები.***

– ესეც საინტერესო ფაქტია. ყველამ იცის, რომ კეზერაშვილს ივანიშვილთან დალაგებული აქვს. ამ დროს ის აპირებს ოპოზიციური ტელევიზიის შექმნას და აფინანსებს ოპოზიციურ პარტიას. მხედველობაში გიგა ბოკერიას ევროქოცები მყავს.

რაკი ბოკერიას პარტიის დაფინანსების გამო მას ხელისუფლებასთან პრობლემები არ შეექმნა, გამოდის, რომ ივანიშვილი ბოკერიას მოძლიერებით არის დაინტერესებული.

***– მარტო ივანიშვილი არა, კალაძემ პირადად განაცხადა, ნაციონალებში დესტრუქციულები დარჩნენ, „ევროპულ საქართველოსთან“ კი თანამშრომლობა შეიძლებაო.***

– ღიად მიდის ევროქოცების გაძლიერება. ამის პარალელურად ძირავენ ნაციონალურ მოძრაობას. ამ პარტიას რუსთავი 2 ქაჩავდა და აცოცხლებდა. მალე რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკა შეიცვლება და იქ ნაცებს არ გააჭაჭანებს, რაც მათ რეიტინგს დაარტყამს.

***– რამდენად ძლიერად დაარტყამს, სულ გაქრებიან?***

– არ გაქრებიან და პარლამენტშიც შეძლებენ შესვლას, მაგრამ მთავარ ოპოზიციურ ძალად აღარ დარჩებიან.

იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა გიგა ბოკერიასთან ერთად გამოჩნდეს მამუკა ხაზარაძე, რაც „ევროპულ საქართველოს“ სერიოზულ შანსებს გაუჩენს.

ივანიშვილმა ვისშიც საფრთხე დაინახა, ყველას პრობლემები შეუქმნა. ერთადერთი გიგა ბოკერიას გაძლიერებას არ უშლის ხელს.

დავიჯერო, იმის იმედი აქვს, რომ ნაციონალებს დაშლის და „ევროპული საქართველოს“ სახით მართულ ძალას მიიღებს?!

***– ეს ცოტა დაუჯერებელია. არაა გიგა ბოკერია ის პიროვნება, რომ ივანიშვილმა მართოს. ბოკერია ბევრად მაღალი და სხვა დონეა.***

– გიგა ბოკერია არის სერიოზული პოლიტიკოსი. ის შეიძლება მომენტში ფულით იყიდო, მაგრამ მისი ბოლომდე მართვა არის შეუძლებელი. ამიტომ არ მესმის, რატომ აძლიერებს „ოცნება“ ამ პარტიას.

ამ მომენტისთვის „ევროპული საქართველო“ სერიოზულად არის მოძლიერებული, მაგრამ საკმარისია, დავით იაკობაშვილი შემოვიდეს ქართულ პოლიტიკაში, რომ „ოცნებაც“, ნაცმოძრაობაც და ევროქოცებიც წაილეკებიან.

კალაძემაც თუ გადაწყვიტა, რომ იაკობაშვილთან ერთად შექმნას პარტია, მაშინ ძალიან ძლიერ ძალას მივიღებთ, რომელსაც ფული არასდროს მოაკლდება.

***– კახა კალაძე წავა ივანიშვილის წინააღმდეგ?***

– მას სხვა გზა უბრალოდ აღარ დარჩა. „ოცნების“ ლიდერი მას თავად აიძულებს, რომ მმართველი პარტიიდან წავიდეს.

***– ეს იძულება რაში გამოიხატება?***

– ის ფაქტიურად მშრალზეა დატოვებული. მას თითქმის ყველა ბერკეტი აქვს გამოცლილი. მას მხოლოდ თბილისის მერიაზე და აჭარის რეგიონზე აქვს გავლენები.

***– ეს ცოტაა?***

– კალაძისთვის ცოტაა, აქამდე მას ძალიან დიდი გავლენები ჰქონდა. რაც დრო გავა, ეს გავლენები კიდევ უფრო შემცირდება.

მას გავლენების გაფართოებაში ხელს უწყობდნენ ძალოვან სტრუქტურებში მყოფი პირები. ისინი პირდაპირ თბილისის მერზე მუშაობდნენ. მასთან მიჰქონდათ ყველაზე და ყველაფერზე ინფორმაციები.

ყველა ძალოვანი, რომელიც კალაძესთან იყო დაკავშირებული, ივანიშვილმა სისტემიდან გაყარა. კალაძე ინფორმაციის გარეშე დარჩა. მას გავლენები შეუმცირეს პარტიაშიც.

ამით „ოცნების“ ლიდერი თბილისის მერს ეუბნება, რომ მან გვერდზე უნდა გაიწიოს და თავისი გზა ნახოს.

***– ასეთი მინიშნებები რა საჭიროა, პირდაპირ ვერ ეტყვის?***

– პირდაპირ ასე არ ეტყვის.

***– ირაკლი ღარიბაშვილს თუ უთხრა, პრემიერობიდან წადიო, ამას რატომ არ აკადრებს?***

– ღარიბაშვილისგან განსხვავებით, კალაძე არჩეული მერია და მისი ასე გაშვება არ გამოვა. მასთან ურთიერთობაში ივანიშვილმა შემოვლითი გზა აირჩია და ყველანაირად ცდილობს აიძულოს, რომ თბილისის მერი განზე გადგეს.

***– გადგება კალაძე განზე?***

– როდესაც სიტუაცია მომწიფდება, აუცილებლად გადგება განზე. ის იაკობაშვილის ბიზნესინტერესების გამტარებელია და, შესაძლოა, მალე ისინი პოლიტიკური პარტნიორებიც გახდნენ.

იაკობაშვილის პოლიტიკაში შემოსვლით ბევრი რამე შეიცვლება. მამუკა ხაზარაძის შემოსვლაც ბევრ რამეს შეცვლის. საბოლოოდ, ეს ხელისუფლების შეცვლით დამთავრდება.

ისიც იცოდეთ, რომ იაკობაშვილი თუ მოვიდა ხელისუფლებაში, საქართველო სერიოზულად დაადგება რუსული ორბიტისკენ მიმავალ გზას. ივანიშვილმა ეს მისია ვერ შეასრულა. მან ქართველებს რუსეთი ვერ შეაყვარა.

---

## ელენე ხოშტარია 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულების მონახულებას აპირებს

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ელენე ხოშტარია 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებული ადამიანების მონახულებას აპირებს. ამის შესახებ ელენე ხოშტარიამ პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე განაცხადა.

როგორც ხოშტარიამ აღნიშნა, დაბრკოლებების მიუხედავად, მან გაარკვია 11 ადამიანის ვინაობა, ვინც დაკავებულია და მათ მონახულებას აპირებს. ამასთან, ხოშტარია მიმართავს დაკავებულების ახლობლებს და ოჯახებს, მასთან იქონიონ კომუნიკაცია, რათა დეპუტატმა ყველა დაკავებულის ვინაობა გაარკვიოს და ყველას მონახულება შეძლოს.

– როგორც პარლამენტის წევრი, რომელსაც მაქვს პატარა პროცედურული უპირატესობა, რომ შემიძლია შევიდე საპყრობილეებში, გაოგნებული ვარ იმით, რომ ბევრი დრო დამჭირდა გამერკვია, ვინ არის დაპატიმრებული. მხოლოდ 11 ადამიანი ვიპოვე. ამიტომ მივმართავ ყველას, ვისი ოჯახის წევრი ან ახლობელია დაპატიმრებული, ან აქვს ნებისმიერი პრობლემა, მე, როგორც პარლამენტის წევრი, ოპოზიციიდან, შეზღუდული შესაძლებლობით ამ შემთხვევაში, ყველას მოგმართავთ, ვისაც გჭირდებათ ჩემი დახმარება იმაში, რომ შევიდე საპყრობილეში და ა.შ. მომაწვდინეთ ხმა და ყველაფერს გავაკეთებ თქვენთვის. ეს არის ის მცირედი, რაც დღეს შემიძლია გავაკეთო იმის გარდა, რომ ვიდგე აქ თქვენს გვერდით, – განაცხადა ხოშტარიამ აქციაზე.



**ინტერპრესნიუსი**

---

## დავით ჭიჭინაძე: „კობახიძემ სია მიუტანა ივანიშვილს, ეს 6 კაცი გამაგდებინე და სიწყნარე იქნებაო“

– ირაკლი კობახიძემ სია მიუტანა ბიძინა ივანიშვილს – ეს 6 კაცი გამაგდებინე და სიწყნარე გექნებაო... ექვსიც არის გამოგდებული და ოცდაექვსიც, მაგრამ სიწყნარე არ არის, – ამის შესახებ პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა, მოძრაობა „ტრიბუნას“ დამფუძნებელმა დავით ჭიჭინაძემ „პალიტრანიუსის“ ეთერში, გადაცემაში „7 VS 1“ განაცხადა.

ჭიჭინაძემ გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის პერიოდზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ როდესაც კვირიკაშვილი წავიდა გუნდიდან, ბიძინა ივანიშვილმა დაკარგა ავტორიტეტული ფიგურა, რომლის საშუალებითაც, საკუთარ სურვილებს უჩინრად გაუგზავნიდა დეპუტატებს. მან ასევე აღნიშნა, რომ გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის პერიოდში, დეპუტატებს ივანიშვილთან კონტაქტი არ ჰქონდათ.

– როდესაც კობახიძე რჩება პარლამენტის წევრებთან მოლაპარაკედ, ჩათვალეთ, რომ ივანიშვილმა დაკარგა ის ბერკეტი, როცა უჩინრად შეეძლო დეპუტატებისთვის თავისი სურვილი გაეგზავნა და ამის მიმტანი იქნებოდა ადამიანი, რომელსაც ეს წონა ექნებოდა. კობახიძეს ეს წონა არ ჰქონდა, რადგან ის კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელი იყო, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ და აქვე დასძინა, რომ პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე არც ერთი ჯგუფის წევრი არაა და ის ნეიტრალურია.



– კობახიძე იყო მაბეზღარა. რაც იყო და არ იყო, იმასაც რომ იძახდა. სია მიუტანა ბიძინა ივანიშვილს, ეს 6 კაცი გამაგდებინე და ისეთი სიწყნარე გექნებაო – ექვსიც არის გამოგდებული და ოცდაექვსიც, მაგრამ სიწყნარე არ არის, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

ამასთან, დეპუტატმა გიორგი კვირიკაშვილისა და მამუკა ბახტაძის პრემიერობა შეაფასა.

– პრემიერმინისტრობის 100%-იანი შკალა რომ ავიღოთ, სადღაც 80% იყო პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი, იგივე შკალით ბახტაძე არ არის 5%-ითაც კი. მაშინ ივანიშვილი აქტიურად არ ერეოდა, განსაკუთრებით ეკონომიკური ბლოკის საკითხებში და ამიტომ კვირიკაშვილს მეტი თავისუფლება ჰქონდა. ბახტაძეს პრაქტიკულად არაფერი არ გააჩნია, თავისუფლების ხარისხი არის ნოლი. ამიტომ ვიძახი, რომ ის არის პრემიერი გამოძახებით. ძალიან რთული იყო ივანიშვილისთვის კვირიკაშვილის გაკონტროლება და მან ეს პირდაპირ თქვა, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

ამასთან დეპუტატმა აღნიშნა, რომ პრემიერმინისტრობის პერიოდში გიორგი კვირიკაშვილი ამერიკელების საკმაოდ დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა.

– მას ჩივილი რომ დაეწყო, გაიხლიჩებოდა ხელისუფლება და ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ქვეყანა. ამ ნაწილში მე ვთვლი, რომ როგორც პოლიტიკოსი, საკმაოდ გონიერად მოიქცა, – აღნიშნა ჭიჭინაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# კრემლი: „საქართველო გადარჩება მხოლოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“

## ევროპელი სამხედრო ექსპერტები რუსეთის მხრიდან რეგიონალური ომების გაჩაღებას პროგნოზირებენ

მარიამ მჭედლიშვილი



**შემოდგომა და შემდგომი პერიოდი ურთულესი იქნება საქართველოსთვის არამარტო მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების და ეკონომიკაში შექმნილი კოლაფსის მიზეზით. საქართველოში გრძელდება გეოპოლიტიკური დაპირისპირება.**

იმ დროს, როცა საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიციის ნაწილი რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის აღდგენაზე მუშაობენ, კრემლთან დაახლოებული ექსპერტები აჯერებენ ხალხს, რომ საქართველოს გადარჩენა მხოლოდ რუსეთის იმპერიაშია.

ისინი აღნიშნავენ, რომ საქართველოში ჩამოინგრა თითქმის ყველა სფერო – ლარის კურსით დაწყებული, ტურიზმითა და ტრანსპორტით დამთავრებული.

მათი განმარტებით, ამის მიზეზი საქართველოში არსებული რუსოფობიური განწყობებია.

იმპერიულად განწყობილი რუსი კომენტატორები პროპაგანდირებენ, რომ აშშ-სა და ევროპას ქართველები არაფერში სჭირდება, თურქებისა და ირანელებისთვის კი საქართველო დროის გასატარებელი ადგილია, სადაც ბევრი სამორინეა.

კრემლის პროპაგანდისტების მტკიცებით, ქართველები მხოლოდ რუსებს უნდათ. დასუსტებულ-დანგრეული საქართველოს ხსნა კი მარტო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია. მათი სიტყვებით, დასავლეთს აინტერესებს მარტო საქართველოს ტერიტორია სამხედრო ბაზებისა და ლაბორატორიებისათვის.

კრემლის ეს პროპაგანდა საქართველოში ყურს ბევრს არ მოჭრის, იმიტომ, რომ დაახლოებით ამგვარი რიტორიკა აქაც გახშირდა იმ განსხვავებით, რომ საქართველოს რუსეთთან მიერთების მოთხოვნა ჯერ არავის დაუყენებია.

საქართველოში შექმნილი ქაოსი ემთხვევა საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ხელშეკრულების გაუქმებას.

გერმანელი, შვედი და დანიელი ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ამ გარემოებას რუსეთი გამოიყენებს თავის სამეზობლოში, ასევე ევროპაში რეგიონალური ომების გაჩაღებისთვის.

შვედი ექსპერტების შეფასებით, რუსეთი მოქმედ ხელშეკრულებებს და საერთაშორისო ნორმებს ისედაც არღვევდა და მუდმივად ზრდიდა თავის შეიარაღებას, ემზადებოდა ომისთვის. რუსეთმა ყველანაირი ნორმა დაარღვია, როცა შეიჭრა საქართველოში, ასევე – ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში.

მათი თქმით, მოსკოვის ამოცანაა, შეცვალოს არსებული მსოფლიო წესრიგი.

ფრანგი მიმომხილველების დაკვირვებით, რუსეთის არსენალშია ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ფული და დაშინება. კრემლი ამ მეთოდებს ხშირად ერთად მიმართავს.

ამ ფონზე საფრანგეთში მკაცრად აკრიტიკებენ პრეზიდენტ მაკრონის გადაწყვეტილებას ქვეყანაში 24 აგვისტოს პუტინის მიწვევის თაობაზე.

მათი აზრით, თუ მაკრონი თავს პროგრესულ პოლიტიკოსად თვლის, არ უნდა მიიპატიჟოს პუტინი, რომელიც აცხადებს, რომ მსოფლიოში ლიბერალიზმი და დემოკრატია დამარცხდა. მაკრონის ოპონენტების თქმით, ასეთი ლოიალურობა აგრესორი პუტინის გაძლიერებას ნიშნავს.

# ლევან ალაფიშვილი: „ხელისუფლება ეცდება, მაყურებლის თვალში რუსთავი 2-ის დისკრედიტაცია მოახდინოს“

## „ვადამდელი არჩევნები მხოლოდ „ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შეიძლება აწყობდეს“

იაგო ნაცვლიშვილი



**დაიწყო თუ არა „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება როგორც პოლიტიკური მობილიზების, ისე მედიის ფორმირების თვალსაზრისით და უნდა განვიხილოთ თუ არა პროკურატურის შესვლა რუსთავი 2-ში ამ კონტექსტში? რას შეცვლის არსებულ რეალობაში დაანონსებული ახალი ტელეარხები? ვის შეიძლება აწყობდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი ლევან ალაფიშვილი საუბრობს.**

***– ხედავთ თუ არა იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო მზადება 2020 წლის არჩევნებისთვის? ვინაიდან მას მოუწია მაჟორიტარული სისტემის დათმობა, ხომ არ ცდილობს სხვანაირად მობილიზებას?***

– 20-მა ივნისმა შეცვალა ქართული რეალობა და არსებითად შეცვალა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მიმართულება, მხედველობაში მაქვს საზოგადოებრივი ცხოვრება. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ცხოვრებაც. ეს ის შემთხვევა და მომენტია, როცა ყველამ ჯეროვნად უნდა გავითავისოთ ეს ფაქტი და ისე წარვმართოთ ჩვენი მომავალი საქმიანობა თუ ცხოვრება და არა პირიქით, რომ იგნორირება მოვახდინოთ ამ ყველაფრის, თითქოს არც არაფერი მომხდარა და თითქოს ჩვენ ვქმნით ძველებურად დღის წესრიგს. რაზეც ვისაუბრე, პირველ რიგში ეს მმართველ პოლიტიკურ ძალას შეეხება, ოღონდ მხოლოდ მათ არა, ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტორს.

თქვენს კითხვას რომ მივუბრუნდე, ბუნებრივია ჩანს, რომ ხელისუფლება რეაგირებს 20 ივნისზე, ოღონდ არაჯეროვანი მიმართულებით, სწორი ანალიზით კი არა, არამედ ისე, რომ პოლიტიკური დღის წესრიგი იყოს მისი ფორმატით შედგენილი ან განსაზღვრული ერთპიროვნულად მის მიერ.

ამ კონტექსტში მისი და ყველა პოლიტიკური ძალის ინტერესის საგანი სწორედ საარჩევნო საკითხებია, რადგანაც ეს დაკავშირებულია ძალაუფლების ცვლასთან. 20-მა ივნისმა განაპირობა საჯარო დაპირება, რომ შეიცვლებოდა 2020-თვის საარჩევნო სისტემა, თუმცა ამის მერე ზაფხული ისე გაილია, რომ განხილვები დააპაუზა მმართველმა ძალამ, ნაცვლად იმისა, რასაც საწყის ეტაპზე გვპირდებოდნენ, რომ რიგგარეშე სხდომას მოიწვევდნენ და დაიწყებდნენ ამ ყველაფრის განხილვას.

***– ეს რას ნიშნავს თქვენთვის?***

– პირველი, შეიძლება არა მნიშვნელოვანი და დიდი, მაგრამ პირველი სიმპტომია ჩემთვის იმისთვის, რომ ხელისუფლება ცდილობს, პოლიტიკური დღის წესრიგი მან განაპირობოს. იმიტომ, რომ შემდგომში შეიძლება შეიცვალოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოცემულობა მისი მეცადინეობით სწორედ საარჩევნო კონტექსტში და, ბუნებრივია, ეს ყველაფერი უკავშირდება სწორედ არჩევნებს.

***– ანუ შეიძლება ეს დაპირება აღარ შეასრულოს „ოცნებამ“?***

– სწორედ აქეთ მივდივარ. თქვენ ჩამოაყალიბეთ კითხვა, უკავშირდება თუ არა 2020 წლის არჩევნებსო, მე კი მცირე კორექტირებას გავაკეთებდი და ასე ვუპასუხებდი – კი, მთავრობის ქცევა უკავშირდება არჩევნებს, ოღონდ ეს იქნება 2020-ის არჩევნები თუ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. თუმცა, შესაძლოა ვარაუდი მქონდეს – თუკი რიგგარეშე არჩევნებზე წავა ხელისუფლება, ის მოიგებს და შეძლებს ძალაუფლებაში დარჩენას.

თუ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა 2020 წლის შემოდგომამდე, ის ჩატარდება 3%-იანი ბარიერით და მაჟორიტარებით. შესაბამისად, ეს სისტემა დღევანდელ მოცემულობაში თუკი ვინმეს შეიძლება აწყობდეს, ეს არის პარლამენტში დღეს წარმოდგენილი ძალები.

თუ გავითვალისწინებთ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ნაჩვენებ შედეგებს, ორი უმსხვილესი გაერთიანების შედეგები გაფორმდა კონკრეტული რიცხვებით, აქედან გამომდინარე ეს შეიძლება აწყობდეს მმართველ პოლიტიკურ ძალასა და ნაციონალურ მოძრაობასაც. ცოტა ხნის წინ ამ პარტიის საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფმა ლიდერმა თქვა, უნდა ვიმსჯელოთ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზეო.

ამ მოცემულობაში საზოგადოებას მოგვიწევს დემოკრატიის სადარაჯოზე ყოფნა იმისთვის, რომ არსებითად და რეალურად შეიცვალოს პოლიტიკური ცხოვრება და ლანდშაფტი. ღირსეულად, დემოკრატიულად და მშვიდობით მივიდეთ 2020 წლამდე და არ დავუშვათ რყევები და რიგგარეშე არჩევნები, ვინაიდან რიგგარეშე არჩევნებს საზოგადოების უკმაყოფილება რომ მოჰყვება, ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

***– პროცესი მედიის თვალსაზრისითაც განვიხილოთ. ვხედავთ დიდ პროცესებს ამ მხრივაც და მედიის გადაჯგუფების თვალსაზრისით როგორ წარმოგიდგენიათ პროცესი?***

– რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში თუ გავმართავთ მსჯელობას მედიაზე, ბუნებრივია, მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესში შეიძლება შედიოდეს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, არაპარტიული დღის წესრიგით მოქმედი მედია.

რუსთავი 2-ის გაჩერების შემთხვევაში თუ ახალი მედიის ჩამოყალიბება ვერ მოესწრო და ისე ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, ბუნებრივია, მედია ვერ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას შედეგებსა და კამპანიაზე. ვინაიდან ახალი მედია არ იქნება დაქოქილი – საზოგადოება ვერ იქნება შეჩვეული, აუდიტორია არ იარსებებს და ა. შ. შესაბამისად, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში ეს ჯდება.

***– პროკურატურის შესვლა რუსთავი 2-ში ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ?***

– რუსთავი 2-ის თემა ზოგადად არის პოლიტიკური პროცესის ერთადერთი თუ არა უმთავრესი წარმმართველი, ამას „ოცნებაშიც“ არ უარყოფენ. შესაბამისად, რუსთავი 2 იყო, არის და ცოტა ხანს კიდევ დარჩება მმართველი პოლიტიკური ძალის საზრუნავად. როგორ გააკეთებს ამას – იქნება გაკოტრება, თანამშრომელთა გაშვება თუ სხვა, ეს ჩემთვის ტექნიკის საკითხია და არა შინაარსი.

***– დაკითხეს არხის ფინანსური დირექტორი. მან თქვა, რომ გაუთქმელობის პირობიდან გამომდინარე დეტალებზე ვერ ისაუბრებს, მაგრამ ზოგადი კითხვები იყო გამოძიების მხრიდანო. რა გამოდის? ცდილობენ, როგორმე გატეხონ რუსთავი 2-ის ბოქლომი?***

– ესეც შეიძლება იყოს, მაგრამ უფრო სხვა კუთხითაც უნდა შევხედოთ. მაგალითად, რაღაც საქმე აღძრან და კრიმინალური თვალსაზრისით არხის დისკრედიტაცია მოახდინონ. ვგულისხმობ იმას, რომ ამ ხელისუფლების პირობებში 315-ე მუხლით საქმე აღძრულია 3-ჯერ, მაგრამ ბოლომდე არც ერთი მისულა, თუმცა ის გამოიყენეს დისკრედიტაციისთვის. იგივე ხაზარაძის წინააღმდეგ საქმე აღძრეს ფულის გათეთრების მუხლით.

უმძიმესი მუხლებით იწყებენ ოპონენტების წინააღმდეგ საქმის ძიებას. ესეც მარტივი და გამოცნობადი ტექნოლოგიაა. ხელისუფლებას კარგად აქვს გამოცდილი ეს გზა და, სავარაუდოდ, ამ შემთხვევაშიც ამ გზას აირჩევს – მოახდინოს დისკრედიტაცია მაყურებლის თვალში, რომ თურმე იპარავდა რაღაცას, გვირაბი გაჰყავდა თუ რაც მოახდენს რუსთავი 2-ის დისკრედიტაციას მისი აუდიტორიის თვალში.

***– ხაზარაძეზე ისეთი აბსურდული რაღაცეებიც წავიკითხე „ბოტების“ მიერ დაწერილი სოციალურ ქსელში, რომ თურმე ხაზარაძემ კოსტავას გაარტყა და ა. შ. როგორია თქვენი კომენტარი ამ საკითხზე?***

– მეც წავიკითხე ეს. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო ყველას, რომ 21-ე საუკუნეა და სიტყვის გარდა არსებობს კადრები ამ შეხვედრის. რით ვერ მოძებნეს ეს კადრები? გამოაქვეყნონ! იგივე სოციალურ ქსელებში იმ პროცესის მონაწილე არაერთმა მონაწილემ, ვგულისხმობ მათ, ვინც მაშინ ტექნიკურ უნივერსიტეტში იმ პროცესში იღებდა მონაწილეობას, დაწერა, რომ მე ვიყავი იმ პროცესის მონაწილე და ხაზარაძე საერთოდ არ იყოო იქ.

ეს როგორ არის? ერთი ერთს ამბობს, მეორე მეორეს და ჩვენ რომელი უნდა დავიჯეროთ? კადრები რით ვერ მოიძია ხელისუფლებამ? გამოაქვეყნოს. ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება გამოსდის და ღია ჩანაწერი თუ არსებობს, აქამდე რატომ ვერ აქვეყნებენ.

***– რა გავლენის მოხდენა შეუძლია ახალ ტელევიზიებს, რომელთა შექმნაზეც არის საუბარი? გვარამიამ დააანონსა, კეზერაშვილი აანონსებს.***

– ორი რამე უნდა გავითვალისწინოთ. 1. ტელევიზია არ არის მხოლოდ ბიზნესი, რომ ერთმა, ორმა თუ სამმა ადამიანმა, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ფინანსურად, წარმატების მიღწევა შეიძლება შეძლოს. ტელევიზია და მედია თქვენი, ჟურნალისტების, გარეშე არ არსებობს და, შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს წარმატების საწინდარი იგივე ახალი მედიასაშუალებების შექმნის თვალსაზრისით.

2. რომელი ჟურნალისტებიც არ უნდა იყვნენ ახალ მედიასაშუალებაში, მათ სჭირდებათ რაღაც პერიოდი, რომ შექმნან პროდუქტები და ეს პროდუქტები დააგემოვნოს აუდიტორიამ და გახდეს ლოიალური და მისი მაყურებელი.

ასე რომ, ორი უმთავრესი საკითხი დგას. სწრაფი წარმატების მოლოდინის ქონა ფუჭი იქნება, თუმცა, როგორც მაყურებელი, საინტერესო პროცესს ველოდები. თუ აქამდე ერთი რუსთავი 2 იყო, გამიხარდება თუკი იქნება ბევრი მისნაირი ახალი, კრიტიკული მედია და, რაც მთავარია, შეცვლის მედიაში არსებულ მოცემულობას.

ამ პირობებში პროსახელისუფლებო მედიებსაც ძალიან გაუჭირდებათ არსებობა და, შესაბამისად, განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანს პლურალისტურ გარემოს ქვეყანაში. იმიტომ, რომ ახალი ტექნოლოგიების პირობებში მედიის გაკონტროლება ასეთი ადვილი აღარ არის, შესაბამისად, მათზე ზეგავლენის მოხდენაც ასეთი მარტივი არ არის და თავისუფლების მეტი ხარისხია.

***– კეზერაშვილი არცთუ კარგი რეპუტაციით სარგებლობს საქართველოში. ამას რა გავლენა ექნება?***

– მიუხედავად მაგისა, კეზერაშვილი ადრეც და უკვე 2012 წლის შემდეგაც, რამდენადაც მედიიდან მაქვს ინფორმაცია, აფინანსებდა მედიასაშუალებებს და ამას ხელი არ შეუშლია ამ მედიასაშუალებების ფუნქციონირებაში.

კი, საწყის ეტაპზე ამას ექნება მნიშვნელობა, მაგრამ არა – გადამწყვეტი. კვლავ ვიმეორებ, მედიასაშუალებისთვის გადამწყვეტი არის ჟურნალისტი და არა – მისი მფლობელი.

# გია ვოლსკი: „თუ ბესელიას გააჩნია ინფორმაცია, სასწრაფოდ უნდა მიაწოდოს საგამოძიებო ორგანოებს“

– თუ თავად ეკა ბესელიას ან ნებისმიერ ადამიანს გააჩნია ინფორმაცია, სასწრაფოდ უნდა მიაწოდოს საგამოძიებო ორგანოებს და შემდეგ მოითხოვოს მათზე რეაგირება, თუ შეამჩნევს, რომ რეაგირება აგვიანებს, – ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ, ეკა ბესელიას იმ განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის მიხედვითაც, ბესელიამ პირადი ცხოვრების საქმეში რამდენიმე ხმაურიანი გვარი იპოვა.

გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ მსგავსი საქმეები საკმაოდ რთული გამოსაძიებელია.

– საქმის გამოძიება რთული პროცესია. ეს არის კიბერდანაშაული, რომლის გამოძიებასაც საკმაოდ მძლავრი ტექნიკით აღჭურვილი ქვეყნები ვერ ახდენენ სწრაფად, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებამ უნდა დაინახოს, სად არის მორალური სიმწიფე ჩვენი ქართული საზოგადოების და რა მოთხოვნებია ჩვენ წინაშე. რაც შეეხება დამატებით ინფორმაციას, თუკი თავად ეკა ბესელიას ან ნებისმიერ ადამიანს ამ ქვეყანაზე გააჩნია ასეთი ინფორმაცია, სასწრაფოდ უნდა მიაწოდოს საგამოძიებო ორგანოებს და შემდეგ მოითხოვოს მათზე რეაგირება, თუ შეამჩნევს, რომ რეაგირება აგვიანებს, – განაცხადა ვოლსკიმ.




თაიმერი

# პროკურატურამ რუსთავი 2-ის ყოფილი ფინანსური დირექტორი კახა დამენია გამოკითხა

3 აგვისტოს პროკურატურამ რუსთავი 2-ის ყოფილი ფინანსური დირექტორი კახა დამენია გამოკითხვაზე დაიბარა.

დამენია ტელეკომპანიაში ფინანსურ სამსახურს 2015 წელს ხელმძღვანელობდა. პროკურატურაში შესვლამდე მან „კურიერს" განუცხადა, რომ დანაშაული არ ჩაუდენია და მზად არის, გამოძიების ყველა შეკითხვას უპასუხოს.



– ნებისმიერ კითხვაზე გავცემ პასუხს იმიტომ, რომ ყველაფერი იყო წესრიგში, სწორად და არაფერი ისეთი არ იყო, რაზეც რაიმე დასამალი იყოს. ყველაფერი იყო იურიდიულადაც და ფინანსურადაც აბსოლუტურად გამართული და სწორი. რა პერიოდზეც მე ვიყავი, ის პერიოდი ვიცი, იმ პერიოდზე გამოვრიცხავ არათუ დანაშაულს, გადაცდომასაც კი, – განაცხადა კახა დამენიამ.

ადვოკატ ბექა ბასილაიას აზრით, მიმდინარე პროცესები მედიაზე ზეწოლის მცდელობას უკავშირდება.

– გამოძიების მოტივაცია ამ საქმეში არის არა იმის დადგენა, ხდებოდა თუ არა კანონიერად, ღიად და გამჭვირვალედ სარეკლამო დროსთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციები, ეს ისედაც ცხადია მათთვის, გამოძიების მოტივაცია არის, რომ ამ პროცესს, პიარული თვალსაზრისით მაინც, მიაბას გარკვეული პირები, რომ ააგოროს თემა, რაც მომავალში შეიძლება გამოყენებული იქნეს მედიაზე ზეწოლისთვის, – აღნიშნა ბექა ბასილაიამ.

კახა დამენიას გამოკითხვა რამდენიმე საათი გაგრძელდა.

გამოკითხვის შემდეგ კახა დამენიამ კომენტარი ისევ გააკეთა.

– მოწმის სახით ვიყავი დაკითხული. ჩემი ფინანსური დირექტორობის პერიოდი იყო 2015 წელი, ანუ როდესაც ვიყავი რუსთავი 2-ის ფინანსური დირექტორი. უმთავრესად, კითხვები ეხებოდა იმდროინდელ შემოსავლებს, ხარჯებზე ნაკლებად. გარკვეულ შემოსავლებთან დაკავშირებით ჰქონდათ გარკვეული კითხვები, სარეკლამო დროის შესახებ და ა.შ.

გაუთქმელობაზე გვაქვს ხელი მოწერილი, ამიტომ ძალიან დეტალებში ვერ შევალ, თუმცა ძალიან დეტალურიც ისეთი არაფერი. ამ ეტაპზე,



ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ ზოგადი კითხვები იყო შემოსავლებთან დაკავშირებით.

თვითონ მიზანი რა აქვთ, არ ვიცი, ამას ვერ მოგახსენებთ, ფაქტია, საუბარი არის სარეკლამო შემოსავლებთან დაკავშირებით გარკვეულ საკითხებზე, – განაცხადა კახა დამენიამ.

# ირაკლი გიორგობიანს ყური მოაჭრეს

## მასზე თავდასხმისთვის გიორგი ნინოშვილი დააკავეს

კურიერის ინფორმაციით, ირაკლი გიორგობიანი, იგივე გლობუსა, რამდენიმე დღის წინ გაიტაცეს. წყაროს ცნობით, კრიმინალური გარჩევის დროს გიორგი ნინოშვილმა ზაჰესის ხიდთან მას ყური მოაჭრა.




კრიმინალური გარჩევა ირაკლი გიორგობიანის ბიზნესსაქმიანობას უკავშირდება. ის კომპანია „ნილის" ერთ-ერთი არაფორმალური მფლობელი იყო.

კომპანია რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისის საბავშვო ბაღებს საკვებით უზრუნველყოფდა. კურიერის ცნობით, გიორგობიანმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მისი კომპანიის თანამშრომელი ფარულ გარიგებაში იყო კონკურენტ ფირმასთან, რასაც საქმის გარჩევა მოყვა. დაპირისპირება კი სისხლიანი გარჩევით დასრულდა.

გაერთიანებული ოპოზიციის ინფორმაციით, კრიმინალური გარჩევა და გატაცებები სახელმწიფო შესყიდვებს უკავშირდება და ბიზნესმენსაც ყური ბიუჯეტის ფულისთვის ომის გამო მოაჭრეს. ლევან ხაბეიშვილის თქმით, ბიზნესმენებს ქვეყანაში უკვე განგსტერული მეთოდებით ებრძვიან.

თბილისის მერმა კახა კალაძემ მომხდარზე კომენტარისგან თავი შეიკავა.

– გაგებაში არ ვარ საერთოდ, – ასე უპასუხა მან კითხვას კომპანია „ნილის" გარშემო განვითარებულ მოვლენებზე.

კალაძის თქმით, მისთვის ეს ინფორმაცია უცნობია.

– წარმოდგენა არ მაქვს, თუ არის რაიმე კანონდარღვევები მის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გამოიძიონ, დააკავონ დამნაშავეები და პასუხი მოსთხოვონ, – განაცხადა კახა კალაძემ.

მანვე ლევან ხაბეიშვილის ბრალდებებზე პასუხის გაცემა არ ისურვა.

– ხაბეიშვილი არის ჯამბაზი. არ არის საინტერესო, ხაბეიშვილს ვუპასუხო, – აღნიშნა თბილისის მერმა.

# რატომ გარდაიცვალა ცხვირის ძგიდის საოპერაციოდ შეყვანილი ირაკლი კობიაშვილი

## ოჯახი ხუჯაძე-გოგნიაშვილის კლინიკას ადანაშაულებს



რამდენიმე თვის წინ ტრაგედია მოხდა – ცხვირის ძგიდის საოპერაციოდ შეყვანილი 40 წლის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ანესთეზიიდან რამდენიმე წუთში კრიტიკულად დამძიმდა, ირაკლი კობიაშვილს ტვინის შეშუპება დაეწყო და გული გაუჩერდა.

10 დღის განმავლობაში ის კომატოზურ მდგომარეობაში იყო, საბოლოოდ მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

კობიაშვილის მეუღლე მომხდარში ხუჯაძე-გოგნიაშვილის ყელ-ყურ ცხვირის კლინიკის ექიმებს ადანაშაულებს. ნინო გოგინაშვილი ამბობს, რომ გართულებების თაობაზე არ გააფრთხილეს და ოპერაციის დაწყებამდე მამაკაცს ანესთეზიის მედიკამენტზე სინჯი არ გაუკეთეს.

ხუჯაძე-გოგნიაშვილის კლინიკის ანესთეზიოლოგი ამბობს, რომ საერთაშორისო სტანდარტით, სინჯის გაკეთება რეკომენდებული არ არის.

უნდა გაკეთებულიყო თუ არა მედიკამენტებზე სატესტო სინჯი ოპერაციამდე, ამ საკითხს ახლა ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო სწავლობს.

ჯანდაცვის სამინისტრომ ასევე უნდა გაარკვიოს, რატომ დასჭირდა კლინიკას 4 საათი იმისათვის, რომ მძიმე პაციენტი ერთი სართულით ქვემოთ რეანიმაციულ ბლოკში გადაეყვანათ.

იყო თუ არა ირაკლი კობიაშვილის გარდაცვალების მიზეზი ექიმთა გულგრილობა, ერთ თვეში გახდება ცნობილი.

# მედეა კვირკველია საირმეში ბორცვიდან გადავარდა და დაიღუპა

ბაღდათის მუნიციპალიტეტში, კურორტ საირმის ტერიტორიაზე უბედური შემთხვევა მოხდა.



ერთ-ერთ სასტუმროში დასასვენებლად მყოფი ოჯახი მიმდებარე ტერიტორიაზე ტყეში სეირნობდა, მედეა კვირკველია შემაღლებულ ბორცვზე ფოტოს გადასაღებად ავიდა და დაახლოებით 10 მეტრის სიმაღლიდან ხრამში გადავარდა, რის შედეგად დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მედეა კვირკველიას მშობლები გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში ცხოვრობენ. როგორც სკოლის პედაგოგები პრაიმტაიმთან ამბობენ, მედეა გამორჩეული მოსწავლე იყო და მთელი სოფელი დასტირის მას.

– მოგეხსენებათ დევნილობა, შემდეგ ზუგდიდში მუშაობდა არასამთავრობოში, მერე აქ გაჰყვა ზუგდიდელს. ბოლო 15 წელია, თბილისში ცხოვრობენ.

მთელი სოფელი დასტირის ჩვენს ულამაზეს, უნიჭიერეს გოგოს. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, ჩვენი სკოლის თვალის ჩინი იყო, – უთხრა პრაიმტაიმს პედაგოგმა.

ქუთაისის პროზექტურის ბიუროდან ცხედარი ქმრის სახლში, ზუგდიდში გადაასვენეს. მეზობლების ინფორმაციით, მედეა კვირკველიას დედამ მოახერხა გალიდან გადმოსვლა.

# რუსთავში აზერბაიჯანის მოქალაქე გ.ჰ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1991 წელს დაბადებული გ.ჰ. რუსთავში დააკავეს.



დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 30 ივლისს, რუსთავში, მესხიშვილის ქუჩაზე, გ.ჰ. გადამოწმების მიზნით იმ დროს შეაჩერეს, როდესაც იგი ავტომანქანით გადაადგილდებოდა.

გადამოწმების პროცესში გ.ჰ.-მ საკუთარი ავტომანქანა მიატოვა და გაქცევა სცადა, მაგრამ სამართალდამცველებმა იგი დააკავეს.

პოლიციამ დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალებები, კერძოდ: 709 აბი „მდმა", 86 აბი „სუბოქსინი", 93 აბი „სუბუტექსი", 3 აბი „B8", 119 შეკვრად დაფასოებული 1 კილო და 239 გრამი ე.წ. „ბიო", ასევე, 28,890 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე მიმდინარეობს.

# თბილისში უკანონო იარაღი ამოიღეს

## დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1982 წელს დაბადებული მ.ჟ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, მ.ჟ.-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად „ნაგანის" მოდელის პისტოლეტი ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

აღნიშნული დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# პოლიციამ თბილისში ბინის გაქურდვის ფაქტი აღკვეთა

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი კ.ბ. და 1971 წელს დაბადებული ა.ქ., ქურდობის მცდელობის ბრალდებით, ისანში დააკავეს.



ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდებულები მიმდინარე წლის 1 აგვისტოს, თბილისში, ოცხელების ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბინაში გაქურდვის მიზნით შედიოდნენ, თუმცა განზრახვა ვერ განახორციელეს, რადგან სამართალდამცველებმა ორივე მათგანი შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

მათი პირადი ჩხრეკისას ამოღებულია კარის გასაღები ხელსაწყოები – ე.წ. „ატმიჩკები".

პოლიციამ დაკავებულების საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო, სავარაუდოდ, ნაქურდალი ძვირფასი სამკაულები, დიდი ოდენობით თანხა და კარის საკეტების გასაღები კუსტარული ხელსაწყოები.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის მცდელობას გულისხმობს.

# მკვლელობა ვარკეთილში

## 34-ე კორპუსის მე-5 სართულზე მამაკაცი აჩეხეს

ვარკეთილში შუახნის კაცი ცივი იარაღით მოკლეს. პოლიციამ ბრალდებული შემთხვევის ადგილზევე დააკავა. დანაშაულის ჩადენის იარაღი დანა კი ნივთმტკიცებად ამოიღო.




შემთხვევა 34-ე კორპუსის მეხუთე სართულზე, ბინაში მოხდა.

– მიზეზი ჩხუბი, შეკამათება გახდა. ვინც დაიღუპა, იმან დედა შეაგინა და ეტყობა ამან გულში ჩაიდო. ბევრი ჭრილობა ჰქონდა, ზურგში, გულ-მკერდის არეში, – განუცხადეს კურიერს ადგილობრივებმა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 1973 წელს დაბადებულმა ჭ.წ-მ შურისძიების ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობს – ვ.ვ-ს დანით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

საქმეზე გამოძიება 19-108-ე მუხლით, განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

# ყვარელში მიცუბიში ფორდს დაეჯახა

## 1 ადამიანი დაიღუპა, 3 დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა კახეთში მსხვერპლით დასრულდა. შემთხვევა ყვარელში მოხდა. ერთმანეთს ფორდისა და მიცუბიშის მარკის მანქანები შეეჯახნენ.

ფორდის მარკის ავტომობილში მჯდომი ქალი ადგილზე გარდაიცვალა. დაშავებულებიდან ორი თბილისში, ერთი კი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაშავებულთაგან ორი უცხო ქვეყნის მოქალაქეა. მათ სხვადასხვა სახის მოტეხილობები აღენიშნებათ.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# ვახტანგ მაისაია: „2008 წელს ქართულ სპეცსამსახურებში რუსული აგენტურა იყო ჩანერგილი“

გულიკო ბალაძე

**ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია აგვისტოს ომთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როდესაც აგვისტოს ომის საბრძოლო ოპერაციები დაიწყო, თქვენ სად იმყოფებოდით?***

– როდესაც საბრძოლო ოპერაციები დაიწყო აგვისტოში, თბილისში, სახლში ვიმყოფებოდი. 8 აგვისტოს, როდესაც დაიწყო მობილიზაცია, მიცკევიჩის ქუჩაზე სამხედრო განყოფილებაში მივედი. ვუთხარი, რომ 1999-2002 წლებში ვიყავი სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის მრჩეველი სამხედრო მოსამსახურე სტრატეგიული კუთხით, თავდაცვის სამინისტროში კონტრაქტით ვმსახურობდი და მოეხდინათ ჩემი გადაყვანა დანიშნულების ადგილას სპეციალურ რეზერვში, სადაც სამხედრო დაზვერვის რეზერვი იყო. მითხრეს, ჩვენ არ გვჭირდებიო და სახლში გამომიშვეს.

თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირს დავურეკე, რომელმაც მითხრა, რომ გადმომირეკავდა, მაგრამ დღემდე რეკავს. შემდეგ ჩემი მეუღლე გაიწვიეს და დავატარებდი ჩემს მეუღლეს და მის მეგობრებს, როგორც სამხედრო ექიმებს და გარკვეულ დავალებებს ასრულებდნენ.

ასევე ქვეყანას ვეხმარებოდი რუსული სამხედრო აგრესიის წარმოჩენაში. იმ პერიოდში განხორციელდა კიბერშეტევა და ჩემი კომპიუტერიც დაზიანდა. სოციალური ქსელები გათიშული იყო. 7-8 აგვისტოს პერიოდში მობილურებიც გაითიშა. ამიტომ ინფორმაციებს ვაწვდიდი უცხოურ საინფორმაციო საშუალებებს, საფრანგეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის საინფორმაციო სააგენტოებს, როგორი ვითარება იყო, რამდენი მსხვერპლი იყო, როგორი შეტევები ხორციელდებოდა საქართველოს წინააღმდეგ.

12 აგვისტოდან ნაწილობრივ აღდგა კომუნიკაციის საშუალებები.

***– ომის დროს როგორი იყო ორგანიზაციული მხარე?***

– საერთოდ, არაორგანიზებული იყო, რამაც გამოიწვია შემდგომში სიტუაციის გართულება.

***– ცხინვალის რეგიონში აგვისტოს პირველი რიცხვებიდან ვითარება თანდათან რთულდებოდა. ოსებისა და რუსების მხრიდან ადგილი ჰქონდა შემოტევებს, სოფლებს ბომბავდნენ. ხელისუფლებას ვითარება გაანალიზებული არ უნდა ჰქონოდა, როდის განხორციელებულიყო თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციები და როდის უკანდახევის ღონისძიებები? ამის დრო ხელისუფლებას არ ჰქონდა?***

– ვითარების გაანალიზებისთვის საკმაო დრო იყო. საერთოდ, იმდროინდელი ხელისუფლება იმპულსურ და გაუაზრებელ ნაბიჯებს დგამდა. სააკაშვილის რეჟიმი საერთოდ, გაგებაში არ იყო, რა ხდებოდა სახელმწიფოში, რა ტენდენციებს ჰქონდა ადგილი მეზობელ სახელმწიფოში.

რუსეთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, შეემუშავებინა პოსტსაბჭოთა სივრცეში სამხედრო ოპერაციების გეგმები, სამართლებრივი, კონცეპტუალური, პოლიტიკური საფუძვლები. ეს ფაქტორი, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, საერთოდ, იგნორირებული იყო.

არ მუშაობდნენ საქართველოს სპეცსამსახურები. მათი საქმიანობა ნულის დონეზე იყო. ეს გახლდათ კლასიკური ავტორიტარული რეჟიმის პოლიტიზირებული სპეცსამსახურები, რომლებიც დაკავებული იყვნენ ქვეყნის შიგნით რეჟიმისთვის მიუღებელი ადამიანების დაპატიმრებით და მათი წამებით. ამიტომ, ფაქტობრივად, მზად არ იყვნენ, მოეგერიებინათ უცხო ქვეყნის სამხედრო აგრესია.

დარწმუნებული ვარ, მაშინდელი სპეცსამსახურების სახით მოქმედებდნენ ღრმად კონსერვირებული რუსული სპეცსამსახურების აგენტურა, რომელიც მიზანმიმართულად ახორციელებდა მაშინდელი ხელისუფლების, სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლების არასწორ ინფორმირებას.

***– თქვენი ეს დასკვნა ომიდან გამომდინარე გააკეთეთ?***

– არამარტო, მაგრამ ომის პერიოდში კარგად გამოჩნდა, რომ საქართველოს სპეცსამსახურებში იყო ღრმად კონსერვირებული, კარგად დაფარული, არალეგალური აგენტურა, რომელმაც ცუდი როლი ითამაშა საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციაში და იმ პროცესებში, რამაც მიგვიყვანა ამ პროცესებში დამარცხებამდე.

***– დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებს უნდა მიეწოდებინათ არსებული ვითარების ანალიზი?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ იმ პერიოდში ჩვენ გვყავდა ავტორიტარული რეჟიმის სპეცსამსახურები, რომლებიც უფრო მუშაობდნენ არსებული რეჟიმის შენარჩუნებასა და პოლიტიკური ოპოზიციის დევნაზე, ვიდრე საგარეო საფრთხეების გაანალიზებასა და მის პრევენციაზე.

***– იმ დროს რუსეთი საქართველოს საზღვრების სიახლოვეს ატარებდა წვრთნებს. რუსული სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა უკვე შემოყვანილი ჰყავდათ მათ კონტროლირებად ადგილებში. 1 აგვისტოდან მოწინააღმდეგე აშკარად ვითარების ესკალაციაზე მიდიოდა. სპეცსამსახურებიც რომ არ გივარგოდეს, თვითონ ხელმძღვანელმა ხომ შეიძლება გაიაზრო, რასთან გაქვს საქმე?***

– სააკაშვილს და მისი გუნდის წევრებს სტრატეგიული ანალიზის გაკეთების უნარი არ ჰქონდათ. მხოლოდ საკუთარი თავის კრეატივებით შეპყრობილი პოლიტიკოსები იყვნენ. მხოლოდ მოკლევადიან შედეგებზე ფიქრობდნენ. გრძელვადიანი ანალიზის უნარი მათ არ გააჩნდათ.



მათ ჰყავდათ ისეთი გუნდი შეკრებილი, რომელიც ფიქრობდა, რომ რუსეთს ჰყავდა ჟანგიანი ტანკები და ვერ გაბედავდა შეტევის განხორციელებას. ასეთი გაუაზრებელი, ანალიტიკურად დაბალი ხარისხის პიროვნებებისგან შედგებოდა მაშინდელი სახელმწიფო აპარატი.

ეს ეხება მაშინდელ თავდაცვის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროებს (რომელშიც გაერთიანებული იყო დაზვერვისა და უშიშროების ორგანოები) და საგარეო დაზვერვას. სისტემაში დაბალი უნარების სუბიექტები მუშაობდნენ.

კლასიკური დოქსოპულოები ჰყავდა მიხეილ სააკაშვილს. თვითონ მიხეილ სააკაშვილიც არ იდგა შორს დოქსოპულოსგან, რომელიც საკუთარი ტყავის გადარჩენაზე მუშაობდა. მისი მიზანი იყო მისთვის მიუღებელი ოპოზიციის განადგურება.

როდესაც 58-ე არმია უკვე მობილიზებული იყო ჩვენს საზღვრებთან, 3 აგვისტოს ცხინვალში ჩავიდნენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები. მათ შორის, გრუს უფროსის მოადგილე იმყოფებოდა და ჩატარდა საიდუმლო თათბირი კოკოითთან და ბარანკევიჩთან (რომელიც გახლდათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი), რომელმაც დიდი როლი ითამაშა სამხედრო ოპერაციების განხორციელებაში.

ეს არც დააფიქსირეს და არც გააანალიზეს. ამას ემატება ჩვენს სპეცსამსახურებში ღრმად კონსპირირებული რუსული აგენტურული ქსელი.

***– ეს რაში გამოჩნდა ომის პერიოდში?***

– ეს ომის პერიოდში გამოჩნდა მაშინ, როდესაც რუსეთმა ჩვენი უახლესი ტექნიკა ჩაიგდო ხელში.

გაუგებარია, ვინ გასცა ბრძანება სენაკის სამხედრო ბაზის დატოვებისა, ვისი ბრძანებით მოხდა, რომ რუსებმა სენაკის სამხედრო ბაზაზე ხელში ჩაიგდეს უნიკალური სამხედრო ტექნოლოგიები, რომლის საშუალებით შემდგომში რუსებმა მოახდინეს თავიანთი სამხედრო რეფორმების წარმატებით განხორციელება.

ხელში ჩაიგდეს ის ტექნოლოგიები, რომლის საშუალებით შეძლეს მსოფლიო დონის სამხედრო ტექნიკა ჰქონოდათ.

საერთაშორისო

# მოსკოვში პოლიციამ 800-ზე მეტი ადამიანი დააკავა

## რუსეთის დედაქალაქში პროტესტი გრძელდება

3 აგვისტოს მოსკოვში კვლავ საპროტესტო აქცია მოეწყო. ამჯერად ოპოზიციას არც მიტინგი და არც მსვლელობა არ მოუწყვია. მათ უბრალოდ ქალაქის ცენტრში გაისეირნეს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ კვლავ მასობრივი დაკავებები განახორციელა.

პუტინის რეჟიმი საპროტესტო აქციისთვის საფუძვლიანად მოემზადა. გორკის პარკში სახალხო სეირნობა მოეწყო, რათა ხალხის ყურადღება აქციიდან სხვაგან გადაეტანათ. ამავე დროს, ქალაქის ცენტრში პოლიციისა და ომონის მრავალრიცხოვანი ძალები იქნა მობილიზებული.

დაკავებებს განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი პუშკინის მოედანზე ჰქონდა. სწორედ აქ აიყვანეს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი და აქციის ორგანიზატორი ლიუბა სობოლი.



შაბათის აქციის კურიოზებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოპოზიციონერ იანკაუსკასის საქმე. ის არასანქცირებულ მიტინგში მონაწილეობისთვის 78 დღიან სასჯელს იხდიდა. სპეცმიმღებიდან გამოსვლისთანავე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა კუნთმაგარმა ბიჭებმა ის დააკავეს.

– ვინ ხართ?– შეეკითხა იანკაუსკასი.

– პოლიცია.

– რატომ მაკავებთ?

– იმიტომ, რომ აქციაზე მიდიხარ.

– ეს ესაა, სპეცმიმღებიდან გამათავისუფლეს. რა იცით, რომ აქციაზე უნდა წავიდე? იქნებ შინ მივდივარ, რათა აბაზანა მივიღო, ვისაუზმო.

პოლიციელებმა იანკაუსკასთან დისკუსია არ ისურვეს, ხელები გადაუგრიხეს და მანქანაში შეაგდეს.

დაკავებულთა შორის მოხვდნენ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრი იგორ კალიაკინი, მოსკოვის საქალაქო დუმის დეპუტატობის კანდიდატი ოპოზიციონერი სერგეი ცუკასოვი, პოპულარული მსახიობი ალექსანდრე პალი და ა.შ.

დააკავეს შემთხვევითი გამვლელებიც, რომლებიც თავიანთ საქმეებზე მიიჩქაროდნენ, პოლიციელებმა კი რატომღაც ოპოზიციონერებად მიიღეს.

დაკავებულებს სპეციალურად მოყვანილ ავტობუსებში ყრიდნენ. პასუხად დაკავებულები სკანდირებდნენ:

– პუტინ ხუილო!

პოლიციელები დაკავებულებზე სამბოს ილეთების დემონსტრირებას შეუდგნენ. მათ უგრეხდნენ ხელებს, აჩოქებდნენ, სცემდნენ ხელკეტებით.

სულ დაკავებულთა რაოდენობამ 800-ს გადააჭარბა. შემთხვევით გამვლელებს შორის, რომლებიც დააკავეს, პროპუტინური „ედინაია როსიას“ წევრებიც მოხვდნენ. მათმა სიტყვებმა, ჩვენ ვლადიმერ ვლადიმიროვიჩის პარტიის წევრები ვართ და აქ შემთხვევით მოვხვდითო, პოლიციელები კიდევ უფრო გაახელა.

მათ დაკავებულები ავტობუსებში შეაგდეს.

# ფუკუშიმას ატომურ სადგურთან 6,2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

## სადგური არ დაზიანებულა

იაპონიაში, ფუკუშიმას რეგიონში, ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 6.2 მაგნიტუდა შეადგინა. მიწისძვრა იგრძნობოდა მიაგის რეგიონსა და ცენტრალურ ტოკიოშიც.

შემთხვევის შედეგად დროებით შეჩერდა სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობა.

ადგილზე განლაგებული ატომური ელექტროსადგურები არ დაზიანებულა. სპეციალისტების ინფორმაციით, ფუკუშიმას სანაპიროებზე ცუნამს არ ელოდებიან.

2011 წელს ფუკუშიმაში 9 მაგნიტუდის მიწისძვრა და ცუნამი მოხდა, რამაც ატომური ელექტროსადგურები დააზიანა.

მაშინ სტიქიამ 18.000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

# 2 ტერაქტი აშშ–ში

## ტეხასში 20 ადამიანი მოკლეს, ოჰაიოში – 10

1 დღე-ღამის განმავლობაში აშშ-ში 2 სერიოზული ტერაქტი მოხდა.

პირველი თავდასხმა ტეხასის შტატის ქალაქ ელ-პასოს სავაჭრო ცენტრში მოხდა.

სავაჭრო ცენტრ „ვალმარტში“ მყოფ მოქალაქეებს ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს. სროლის შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა, 26 კი დაიჭრა.

დაკავებულია 21 წლის თეთრკანიანი პატრიკ კრუსიუსი. სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, როგორ შედის სავაჭრო ცენტრში ავტომატით შეიარაღებული მამაკაცი, რომელსაც ყურსასმენები უკეთია.

ელ-პასოს პოლიციის შეფის გრეგ ალენის განცხადებით, დანაშაული ჩადენილია სიძულვილის ნიადაგზე.

სოცქსელებში გავრცელებულ ვიდეოში ჩანს, როგორ გამორბიან ადამიანები სავაჭრო ცენტრიდან. თვითმხილველების თქმით, პანიკის დაწყების შემდეგ სროლა უფრო ინტენსიური გახდა.

პატრიკ კრუსიუსმა დანაშაულის ჩადენამდე მანიფესტი გამოაქვეყნა.

„ტვიტერის“ გვერდზე კრუსიუსი მხარდაჭერას უცხადებს პირს, რომელმაც მიმდინარე წლის მარტში ახალ ზელანდიაში ორი მეჩეთის მრევლი დაცხრილა. ამას გარდა, კრუსიუსი აცხადებს, რომ თავისი ქმედებებით თავისი ქვეყნის დაცვას ცდილობს „უცხოური შემოტევისგან“, რომლის გამოც აშშ-ის კულტურა და ეკონომიკა ზარალდება.

ელ-პასოს ტრაგედიიდან რამდენიმე საათში კი სროლა ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონში ატყდა.

სროლის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა, 16 კი დაიჭრა. დაღუპულია მსროლელიც, რომელმაც მშვიდობიან მოქალაქეებს ცეცხლი გაუხსნა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სიონმა პაუზა უკეთ გამოიყენა



სიონი-ვიტ ჯორჯია 1:0
ბოლნისი.
თამაზ სტეფანია
1:0 ტატანაშვილი (57)

**სიონი:** გოშაძე, ჩაჩუა, უგრეხელიძე, ჯაფიაშვილი, სუხიაშვილი, ხმალაძე, ცაცკრიალაშვილი, გვარაძე (უგულავა 50), ივანიშვილი, კახაბრიშვილი (თარგამაძე 58), ტატანაშვილი (თარხნიშვილი 77)

**ვიტ ჯორჯია:** ისერგიშვილი, ჯანელიძე, ნემსაძე, ჩიტიშვილი, ნაჭყებია (თათხაშვილი 81), ქისიევი, სეხნიაშვილი, ვარძელაშვილი, ნანობაშვილი, ხუციანიძე (მუზაშვილი 66), მუსელიანი

ერთთვიანი შესვენების შემდეგ, საქართველოს ეროვნული ლიგა განახლდა. 22-ე ტურის პირველი შეხვედრა ბოლნისში, თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე შედგა. ადგილობრივმა სიონმა, გამოკვეთილ აუტსაიდერ თბილისის ვიტ ჯორჯიას უმასპინძლა და 1:0 მოიგო.

მასპინძლებმა, თამაში პირველ ნომრად დაიწყეს, ბურთს თავიდანვე დაეუფლნენ და სახიფათო ეპიზოდებიც შექმნეს. სიონის რიგებიდან კახა კახაბრიშვილი გამოირჩეოდა, რომელსაც რამდენიმე შანსი მიეცა, თუმცა სამიზნე ვერ გაისწორა.

ბოლნისელთა ორგანიზებულ შეტევებს თბილისელები მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ. ზურაბ მუსელიანი მეკარის წინაც დარჩა, მაგრამ გატანა ვერ შეძლო და პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა.

მეორე ნახევრიდან სიონმა მოუმატა და საწყისი 15 წუთი „ვეტერინარებს" ბურთი „დაუმალა". აქტიურმა იერიშებმა მალე შედეგი გამოიღო და 57-ე წუთზე, კუთხურიდან რატი ცაცკრიალაშვილის ჩაწოდებას გამოცდილმა დიმიტრი ტატანაშვილმა თავური დარტყმით უპასუხა და გამარჯვების გოლი გაიტანა.

გოლის მერე, მასპინძლებმა ბურთი მეტოქეს დაუთმეს. ვიტ ჯორჯიამ შეტევაში გადაინაცვლა და წონასწორობის აღდგენის შანსიც მიიღო. მიუხედავად ბოლო წუთებში სტუმართა რამდენიმე მცდელობისა, ანგარიში აღარ შეცვლილა და სიონმა 3 ქულა ჩაიწერა.

22-ე ტურის შემდეგ, ბოლნისელებს 24 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მე-8 პოზიციას იკავებენ, რაც შეეხება ვიტ ჯორჯიას – თბილისელები 15 ქულით ბოლო ადგილზე რჩებიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 21 | 13 | 2 | 6 | 39-23 | 41 |
| 2.საბურთალო | 21 | 12 | 4 | 5 | 38-26 | 40 |
| 3.დინამო (ბთ) | 21 | 12 | 3 | 6 | 34-22 | 39 |
| 4.ტორპედო | 21 | 10 | 4 | 7 | 42-33 | 34 |
| 5.ლოკომოტივი | 21 | 10 | 2 | 9 | 27-23 | 32 |
| 6.ჩიხურა | 21 | 6 | 9 | 6 | 28-22 | 27 |
| 7.დილა | 21 | 7 | 4 | 10 | 24-26 | 25 |
| 8.სიონი | 22 | 7 | 4 | 11 | 24-52 | 25 |
| 9.რუსთავი | 21 | 4 | 7 | 10 | 24-36 | 19 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 22 | 4 | 3 | 15 | 11-28 | 15 |

# 18 წლამდე ნაკრები მე-7 ადგილისთვის ითამაშებს

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ელიტაში გადასასვლელ ბრძოლას გამოეთიშა. რუმინეთში მიმდინარე ევროპირველობის ბ დივიზიონში თემურ კანკიასა და ნიკა ცინცაძის გაწვრთნილი გუნდი მეოთხედფინალში კი გავიდა, მაგრამ იქ უკვე პოლონეთთან დათმო.

საქართველომ მძლავრად ჩაატარა მატჩის პირველი ნახევარი, რომელიც 29:26 მოიგო, თუმცა ძალიან სუსტად ითამაშა საკვანძო მე-3 და ბოლო პერიოდები, რომლებიც ჯამში 15:41 დათმო და საბოლოოდ დიდი სხვაობით – 44:67 დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ჯგუფური ეტაპი 4 მოგებითა და 1 მარცხით, მე-2 ადგილზე დაასრულა და ფლეი ოფში გავიდა. პირველზე გასულმა ჩრდილოეთ მაკედონიამ მეოთხედფინალში ესტონეთი 92:57 გაანადგურა. დანარჩენ მატჩებში ისრაელმა შვედეთს არანაირი შანსი არ დაუტოვა – 95:47, ხოლო ჩეხეთმა პორტუგალიას 83:74 მოუგო.

სწორედ პორტუგალია იყო ჩვენი ნაკრების მომდევნო მეტოქე, რომლის დამარცხების შემთხვევაშიც კანკიას გუნდი ტურნირზე მე-5 ადგილისთვის მატჩში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებდა, წაგების შემთხვევაში კი ჩვენები ტურნირს მე-7 ადგილისთვის მატჩით დაასრულებდნენ.

დაძაბული მატჩი ჩვენების მარცხით დასრულდა. პირველი ნახევრის შემდეგ პორტუგალიელები მხოლოდ 1 ქულით ლიდერობდნენ, თუმცა მესამე პერიოდში უპირატესობა 7 ქულამდე გაზარდეს. საბოლოოდ პორტუგალიამ 73:62 იმარჯვა და მე-5 ადგილისთვის მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა. საქართველო კი მე-7 ადგილისთვის შეხვედრაში შვედეთს შეხვდება, რომელმაც თავისი საკვალიფიკაციო მატჩი ესტონეთთან დათმო.

# დინამოს ახალი დირექტორი ჰყავს



თბილისის დინამომ სეზონი ცუდად დაიწყო და იმის საფრთხეც კი იდგა, რომ მიმდინარე ჩემპიონატი საპრიზო ადგილის გარეშე დაესრულებინა. თუმცა, შემდეგ გუნდმა მოუმატა, ზედიზედ მოიგო 7 მატჩი და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. თამაშის ხარისხითა და შემადგენლობით, დედაქალაქელები ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტები არიან.

ფეხბურთელთა გარდა, გუნდში სხვა საკადრო ცვლილებებიც არის. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის გენერალურ დირექტორად ზაზა დოლიძე დაინიშნა. დოლიძე ბოლო 4 წლის განმავლობაში საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდს ხელმძღვანელობდა.

თბილისელთა პრეზიდენტმა რომან ფიფიამ კლუბის ახალი ხელმძღვანელი წარადგინა. ამასთან, ფიფიამ დინამოს ახალი სამოქმედო გეგმის და სამომავლო მიზნების შესახებაც ისაუბრა. დინამოს პრეზიდენტის თქმით, კლუბში დაფინანსება გაიზრდება და გუნდს ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსი ექნება.

# დირკ ნოვიცკი ზაზას აკადემიას ესტუმრა

ლეგენდარული გერმანელი კალათბურთელი დირკ ნოვიცკი, რომელმაც კარიერა ახლახან დაასრულა, საქართველოში იმყოფებოდა. 41 წლის ნოვიცკი თბილისში ზაზა ფაჩულიას მიწვევით ჩამოვიდა და მის აკადემიას სტუმრობდა.

სტუმარმა აკადემია დაათვალიერა, რის შემდეგაც ახალგაზრდა კალათბურთელებს შეხვდა და მათ საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. დირკმა აკადემიას და ახალგაზრდებს მომავალში წარმატება უსურვა და პატარა კალათბურთელების შეკითხვებს უპასუხა.

**დირკ ნოვიცკი:**

– საქართველოში კარგ დროს ვატარებ. აქ ოჯახთან ერთად ჩამოვედი და ძალიან მომწონს ყველაფერი. ზაზა იდეალური მასპინძელია. ქართული კერძებიც დავაგემოვნეთ და ღირსშესანიშნაობებიც შეძლებისდაგვარად ვნახეთ. ზაზა ზრუნავს როგორც აკადემიის, ისე ქვეყნის კულტურის განვითარებაზე. ზაზა დიდებული პიროვნებაა და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს კიდევ არაერთხელ ვეწვევი. ნაყოფიერი შეხვედრა გამოვიდა. ზაზას აკადემიის შეგირდებმა საინტერესო კითხვები დამისვეს. მათ ბევრი უნდა იშრომონ, რომ სასურველ შედეგს მიაღწიონ.

# შედეგები

## 3 აგვისტო

### ფეხბურთი

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ფულემი ........................ 1:0
ბლექბერნი-ჩარლტონი ................ 1:2
ბრენტფორდი-ბირმინგემი ............ 0:1
მილუოლი-პრესტონი ..................... 1:0
რედინგი-უენსდი .......................... 1:3
სტოკი-ქპრ ................................... 1:2
სუონსი-ჰალი ................................ 2:1
უიგანი-კარდიფი .......................... 3:2
ნოტინგემი-ვესტ ბრომვიჩი ........... 1:2

**გერმანია. სუპერთასი**

დორტმუნდი-ბაიერნი .................... 2:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-დინამო ........................ 4:2
ჰანოვერი-რეგენსბურგი ................ 1:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ვიტესი-აიაქსი .............................. 2:2
ემენი-გრონინგენი ......................... 0:1
ვენლო-ვალვაიკი .......................... 3:1
ტვენტე-პსვ .................................. 1:1

**საფრანგეთი. სუპერთასი**

პსჟ-რენი ..................................... 2:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-გენგამი ............................. 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-როსტოვი .......................... 2:2
კრილია-ლოკომოტივი ................... 1:2
სპარტაკი-დინამო ......................... 0:0
ზენიტი-კრასნოდარი ..................... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ციურიხი ............................ 3:1
თუნი-ბაზელი .............................. 2:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ლივინგსტონი-მოზერველი ............ 0:0
როსი-ჰამილტონი ......................... 3:0
სელტიკი-სტ.ჯონსონი .................. 7:0
ჰიბერნიანი-სტ.მირენი ................. 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ლინცერი ....................... 0:3
ალტახი-ტიროლი ......................... 3:2
ჰარტბერგი-ადმირა ...................... 4:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

სტანდარდი-ვარეგემი ................... 4:0
კორტრაიკი-შარლერუა ................. 1:1
ოსტენდე-სერკლი ......................... 3:1
მეხელენი-გენკი ........................... 3:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ლიბერეცი-სიგმა .......................... 0:1
სლოვაცკო-ზლინი ........................ 1:0
ბოჰემიანსი 1905-პლზენი ............. 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ჩენსტოხოვა-კრაკოვია ................. 1:3
ლოძი-ლეხი ................................. 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-ალექსანდრია ............ 2:1
დესნა-ვორსკლა .......................... 2:0
ლვოვი-დინამო ............................ 0:3

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-კოპენჰაგენი ........... 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ესტერსტუნდი-ესკილსტუნა .......... 1:2
ფალკენბერგი-ჰელსინბორგი ........ 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

სარპსბორგი-რუსენბორგი ............ 1:1
ოდ გრელანდი-ლილესტრიომი ...... 2:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ჰონკა ................................ 2:3

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

5 აგვისტოსთვის



**ვერძი** – ოჯახში პატარა გაუგებრობა შეგექმნებათ. იყავით კეთილგონიერი და მომთმენი. **კურო** – პროვოკაციული დღეა. კომპრომისზე წასვლა დაუშვებელია. ერიდეთ კამათს ოჯახის წევრებთან. **ტყუპები** – მწვავდება ქრონიკული დაავადებები. ილუზიებს არ აჰყვეთ. იყავით რეალისტი. **კირჩხიბი** – ერთი შეხედვით, კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა, არ არის გამორიცხული, მცირედი სანერვიულო შეგხვდეთ. საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდეთ. **ლომი** – გეგმები შეიმუშავეთ და მათ რეალიზებას თამამად შეუდექით. ვარსკვლავები გმფარველობენ. **ქალწული** – სამოგზაუროდ, მივლინებაში წასვლა სასურველი არ არის. კარგი იქნება, თუ ამ დღეს სახლში გაატარებთ. **სასწორი** – ნაყოფიერი დღეა. მიზანს ადვილად მიაღწევთ. შრომა დაგიფასდებათ. **მორიელი** – თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. **მშვილდოსანი** – საქმეში წინსვლა გელით. რომანტიკული ურთიერთობისაგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი დღეა. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა სურვილების ასრულების კუთხით. მოსალოდნელია სასიამოვნო ცვლილებები პირად ცხოვრებაში. **თევზები** – ყოველგვარი ურთიერთობა ნორმალიზდება. საკუთარ ავტორიტეტს გაუფრთხილდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# სკანვორდი



1. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი; 2. საგრილობელი; 3. ერთგვარი კანფეტი; 4. ვრცელი უშენი მინდორი; 5. თავბრუ; 6. მთა ამიერკავკასიაში; 7. გლინვის შედეგად მიღებული ლითონი; 8. ქიმიური ელემენტი; 9. მოხულიგნო ყმაწვილი; 10 მდინარე დასავლეთ საქართველოში; 11. ფრანგი მათემატიკოსი და ინჟინერი (1795-1870); 12. გვერდითი მსაჯი ფეხბურთში; 13. პატარა ორანძიანი იალქნიანი გემი; 14. ნოტი; 15. მამაკაცის საპერანგე ქსოვილი; 16. იგავ-არაკების ჟანრის ფუძემდებელი; 17. „და ... მუსიკა" (გ.ყანჩელი); 18. ჭრილობა; 19. ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი მეცნიერება; 20. სახელმწიფო აფრიკაში; 21. ზღვისპირა კურორტი ქობულეთის რაიონში; 22. უნაყოფო ვაზი; 23. მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი მამაკაცთა ჭადრაკში; 24. ხორციანი კორკოტი; 25. ერთგვარი ჯიშის ღოღნოშო; 26. „ ... ია" (ი.გოგებაშვილი); 27. მომღერალი ... კრავეიშვილი; 28. გულთმისანი; 29. თვლებიანი მომცრო საზიდარი; 30. თავის კანი თმებიანად (ველურების ნადავლი).

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სერვანტესი; 2. კომუნა; 3. ფალანგა; 4. კენია; 5. კონკლავი; 6. თართი; 7. თაკვერი; 9. მთიელი; 13. ჰერტა; 17. როტა; 18. ფხა.

**თარაზულად:** 1. საიგაკი; 3. ფრანკი; 8. სონატა; 10. გუდიარი; 11. კანიო; 12. ბაზალტი; 14. იტალია; 15. ჩხავერი; 16. ვერფი; 19. ბუტიკი; 20. ლიტანია; 21. ალდაგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქლუხორი; 2. სპაგეტი; 3. ბაჰრეინი; 4. გულანი; 5. ჰორმონი; 8. ჰიგიენა; 9. მეზონინი; 12. პროტესტი; 13. ანაკლია; 17. ბორჯომი; 19. კომბლე; 20. საუზმე.

**თარაზულად:** 6. კლეოპატრა; 7. პუნსონი; 8. ჰარირა; 10. ჰოსტელი; 11. მონე; 14. ბენეტონი; 15. ფოლკლორი; 18. ანდები; 21. ოტიატრი; 22. კანიო; 23. ეოლითი; 24. ლითოსფერო.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8870

ევრო — 3.2037

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4941

100 რუსული რუბლი — 4.4431

## ამინდის პროგნოზი 5 აგვისტო




გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

## ეთერ თათარაიძეს არხოტის გადარჩენა სურს



პოეტსა და ფოლკლორისტ ეთერ თათარაიძეს არხოტის გადარჩენა სურს და უერთდება კამპანიას „გადავარჩინოთ ამღა“.

– გადარჩენაზე რატომ უნდა გვქონდეს ამდენი ვაი-ვაგლახი გადასატანი, როცა ამღა, ჭიმღა ახიელაო, ჩემი თითის სახვიელაო. ძალიან პატარა ხეობაა, კილომეტრებსა და სივრცეებზე გადაჭიმული ხომ არ არის.

აქედან, ამ ეტაპზე ერთადერთი სოფლის გადარჩენას ვითხოვთ, დიდებული ისტორიით, რაც არხოტს გადაარჩენს, – წერს ეთერ თათარაიძე.

## მარიამ ქაცარავამ „სვანური ნანა“ ჩაწერა

მომღერალმა მარიამ ქაცარავამ „სვანური ნანა“ ჩაწერა.



ეს არის მისი ძველი გაუჟღერებელი, მაგრამ განახლებული სიმღერა.

ვერსიის და არანჟირების ავტორი მიშა მდინარაძეა, ბექ-ვოკალი კი მიშო ჯავახიშვილს ეკუთვნის.

მარიამ ქაცარავას სიმღერა ინტერნეტში უკვე გავრცელდა.

## მიხეილ თუმანიშვილის პრიზი ანდრი ჟოლდაკს გადაეცემა



მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ჯილდო „სრულყოფილებისათვის ხელოვნებაში“ 2019 წელს გადაეცემა უკრაინელ რეჟისორს ანდრი ჟოლდაკს.

ინფორმაცია ამის შესახებ ფესტივალ „საჩუქრის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## გოგონა ათასი ჩაბუქვნის შემდეგ საავადმყოფოში აღმოჩნდა

გოგონამ ჩინეთის ქალაქ ჩუნცინიდან ნიძლავზე ათასი ჩაბუქვნა გააკეთა და თავი რეანიმაციაში ამოჰყო. 19 წლის ტანს და მის მეგობარს სურდათ გაერკვიათ, თუ რომელი უფრო ამტანი იყო. ამისთვის ისინი ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში რიგრიგობით აკეთებდნენ ჩაბუქვნებს.



– წაგება არც ერთს არ გვინდოდა და ამიტომ ერთმანეთის გასწრებას ვცდილობდით, – განმარტავს გოგონა, – შედეგად ათასი ჩაბუქვნა გავაკეთეთ.

ორი დღის შემდეგ ტანმა აღმოაჩინა, რომ ფეხებს ველარ ხრიდა, ხოლო მისმა შარდმა ყავისფერი შეფერილობა მიიღო. გასინჯვის შემდეგ ექიმებმა დაასკვნეს, რომ პაციენტს რაბდომილიზი განუვითარდა – სინდრომი, რომლის დროსაც კუნთოვანი ქსოვილების უჯრედები ნადგურდება.

გოგონა სამკურნალოდ დაუყოვნებლივ უფრო მსხვილ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. იქ მან შეიტყო, რომ იგივე დიაგნოზი დაუსვეს მის მეგობარსაც. სამედიცინო დაწესებულების ენდოკრინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თქმით, გოგონას გაუმართლა, რომ ასეთი ახალგაზრდაა. ასაკოვანი, რომ ყოფილიყო, ეს ყოველივე თირკმლის მწვავე უკმარისობით დასრულდებოდა.

## ფეხმძიმე ქალმა მულტფილმის ყურებისას ორგაზმი განიცადა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებ ქალბატონს, ბავშვებთან ერთად კინოთეატრში წასვლამ მოულოდნელად ორგაზმი განაცდევინა.

ეს იმ დროს მოხდა, როდესაც 16 კვირის ფეხმძიმე ქალი მულტფილმის „სათამაშოების ისტორია 4“-ის სანახავად მეუღლესა და თავის ორ ბავშვთან ერთად იმყოფებოდა. მისდა გასაკვირად, სავაჭრო ცენტრში სეირნობის დროს იგრძნო, რომ მისი გენიტალიები უჩვეულოდ მგრძნობიარეები გახდა.

– ყოველი ნაბიჯის გადადგმის დროს ჩემი ჯინსების ყოველ ნაკეცს შევიგრძნობდი, – იხსენებს ქალი, – ისინი ჩემი ნაბიჯების შესაბამისად ერთმანეთს ეხახუნებოდნენ.

ქალი ყველანაირად ცდილობდა თავი ხელში აეყვანა.

– ვერაფერი დამეხმარა იმ შეგრძნებებისგან განთავისუფლებაში, რომელთა განცდა სულაც არ მსურდა სავაჭრო ცენტრის იმ ათეულობით მომხმარებლის თვალწინ, რომლებიც იმ მომენტში ჩვენ გარშემო იმყოფებოდნენ, – ამბობს ქალი. მან კინოდარბაზამდე მიღწევა მოახერხა, ხოლო შუა სეანსის დროს ორგაზმი განიცადა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს...

– კარგით დაიწყე.

– მერე ვინ გითხრა, რომ კარგი ამბავი მაქვს?

•••

ქალს ეკითხებიან:

– გათხოვილი ხართ?

– არა, განქორწინებული ვარ.

– და რით იყო თქვენი მეუღლე დაკავებული განქორწინებამდე?

– ბევრი რამით, რაც ჩემთვის უცნობი იყო.

•••

ბრალდებული თავის ადვოკატს ეკითხება:

– როგორ ფიქრობთ, ჩამსვამენ?

– იცი, ეგ მეც მაინტერესებს...

•••

ავტობუსში გოგონას მუხლებზე კატა უზის და ნაზად ეფერება.

მის მოპირდაპირედ მჯდომმა მამაკაცმა უყურა, უყურა და ბოლოს ეუბნება:

– დიდი სიამოვნებით ვისურვებდი მაგ კატის ადგილას ყოფნას!

– არა მგონია, ვეტერინართან მიმყავს, კასტრაციისთვის.

•••

ორი დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ცხვირი რატომ გაქვს ჩაჭყლეტილი, რა, კრივზე დაიწყე სიარული?

– არა, ქალების აბანოში ფანჯრების მწმენდავად ვმუშაობ.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– შენი პიჯაკის ჯიბეში ტყვიები და წერილი ვიპოვე არაბულად დაწერილი.

– საერთოდ ეგენი ბუასილის სანთლები და ექიმის რეკომენდაციებია!

•••

ფოსტალიონი უზარმაზარი ძაღლის გამო ეზოში შესვლას ვერ ბედავს. ამის დანახვაზე დიასახლისმა გამოსძახა:

– ნუ გეშინიათ, დაკოდილია.

– მართლა? მე კი მეგონა, ჩემთვის კბენას აპირებდა...

•••

ქალს ორი უბედურება აქვს...

– რომლები?

– სარკე და სასწორი... მართალია არის კიდევ პასპორტი, მაგრამ მისი დაკარგვა შეიძლება...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კორტნი კარდაშიანის შიშველმა ფოტოსურათმა მისი თაყვანისმცემლები გააოგნა



რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კორტნი კარდაშიანმა ინსტაგრამში აუზში გადაღებული საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათები გამოაქვეყნა.

სურათზე 40 წლის ტელევარსკვლავი აუზში წელამდე სრულიად შიშველი ზის, სახით კამერისკენ, მკერდზე კი ხელები აქვს აფარებული. მან ამით რეკლამა გაუკეთა ვებგვერდ Poosh-ზე გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც სილამაზეს, ჯანმრთელობას, მოგზაურობას და დიასახლისობას ეძღვნება.

ფანები კორტნის სხეულმა აღაფრთოვანა და პროექტი შეაქეს.

– შენ კარდაშიანებს შორის ყველაზე შთამბეჭდავი ხარ, – აღფრთოვანება არ დამალა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– ბუნებრივი და ბრწყინვალე ქალი, – შეაქო კორტნი მეორემ.

## მეგან მარკლი სამოსის საკუთარ ხაზს შექმნის



სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლმა ისაუბრა საკუთარ გეგმებზე, რომელიც ჩასაცმელების საკუთარი კოლექციის შექმნას ეხება. ამ ინფორმაციას ჟურნალ ვოგის ფრანგული ვერსია ავრცელებს.

ჟურნალისტების ინფორმაციით, ჟურნალ ვოგის სექტემბრის ნომერში, რომლის შექმნაზე თავად მარკლიც მუშაობდა, ჰერცოგინიამ აღიარა, რომ უახლოეს თვეებში ახალი პროექტით იქნება დაკავებული. პრინც ჰარის მეუღლის თქმით, ის ოთხ სხვადასხვა ბრენდთან თანამშრომლობით საოფისე ჩასაცმელების კოლექციას გამოუშვებს.

სამოსის გაყიდვიდან შემოსული მთელი მოგება გადაეცემა ასოციაციას, რომელიც უმუშევარ ქალებს ეხმარება.

## ქალმა ყოფილ მეუღლეს თირკმელი აჩუქა

ინგლისის ქალაქ ბრომლის მკვიდრი კელი ჰოუპი თავისი ყოფილი მეუღლის თირკმლის დონორი გახდა.



ექიმებმა 44 წლის დენ პაიეტს ათი წლის წინ ბერჯეს დაავადება დაუდგინეს. 2017 წელს მამაკაცის მდგომარეობა გაუარესდა. მას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა თირკმლის გადანერგვა. დონორის მთელი წლის უშედეგო ლოდინის შემდეგ დახმარება ჰოუპს მისმა ყოფილმა ცოლმა შესთავაზა.

– მართალია ჩვენ დავშორდით, მაგრამ არ მინდა, რომ ჩვენი შვილები უმამოდ იზრდებოდნენ, – განაცხადა 43 წლის ქალმა.

ანალიზების შედეგების მიღების შემდეგ ექიმებმა ისინი გააფრთხილეს, რომ მათი სისხლი ერთმანეთისთვის შეუსაბამო იყო. ვინაიდან მამაკაცის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა, წყვილმა გარისკა და 2018 წლის აგვისტოში თირკმლის ტრანსპლანტაციის რთული ოპერაცია გაკეთდა.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ხუთი დღის შემდეგ პაიეტი საავადმყოფოდან გაეწერა. ჰოუპის თქმით, მომხდარმა ოჯახის ყველა წევრი ერთმანეთს მეტად დააახლოვა.

## მეზობლებმა მეხუთე სართულზე ჩამოკიდებული ბავშვი გადაარჩინეს



ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში მეზობლებმა მეხუთე სართულის აივნიდან ჩამოვარდნილი ბავშვი გადაარჩინეს.

სამი წლის ბავშვი აივნის მოაჯირზე აძვრა და ზედ ჩამოეკიდა.

– ის ფეხებს იქნევდა და უკან აძრომას ცდილობდა, – ყვება ერთ-ერთი მეზობელი, – მან ოდნავ აწევა მოახერხა, თუმცა ხელები დაუსრიალდა და ისევ ჩამოეკიდა.

მრავალსართულიანი სახლის მცხოვრებლებმა ქვევით ორი დიდი ოდეალას გაჭიმვა მოასწრეს. ჩამოვარდნილი ბავშვი მათზე დავარდა და არაფერი დაშავებია. ბებიამ შვილიშვილი ბინაში აიყვანა, შემდეგ კი მშობლებმა ის საავადმყოფოში წაიყვანეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბებია მაღაზიაში პროდუქტების საყიდლად იყო წასული, სახლში კი მძინარე შვილიშვილი დატოვა. ბავშვს გაეღვიძა და ბებიას ძებნა დაუწყო. ის აძვრა აივანზე მდგარ ნიჟარაზე და შემთხვევით მოაჯირზე გადაეკიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ლეოპარდი; 6. დიდი რუპორი; 7. სამხრეთამერიკული სირაქლემა; 10. ბალჩეული მცენარე ტკბილი ნაყოფით; 11. წრეწირის ნაწილი; 13. რჩეული ჯარი ზოგიერთ ქვეყანაში; 14. წიწვოვანი ხე; 16. სანელებელი; 17. შინაური ფრინველი; 18. ლომების ან ვეფხვების ჯოგი.

**შვეულად:** 1. სასწორის თეფში; 2. მხარე, მიდამო; 3. რაიმე პროფესიის ადამიანთა ერთობლიობა; 4. ერთგვარი რევოლვერი; 5. ქურციკი; 8. ერთ-ერთი თითი; 9. პურეული მცენარე; 10. პატარა მდინარე; 12. სულხან-საბას მშობლიური სოფელი; 13. საბერძნეთი; 15. შიშველი, წვეტიანი კლდე.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

